www.24saati.ge

# 24 საათი

The New York Times International Weekly ყოველ სამშაბათს

© გაზეთი 24 საათი | ხუთშაბათი, 8 აგვისტო, 2013 წელი. | №3340 (147) | ფასი 50 თეთრი

## ლიდერთა საუბრები 2008 წლის ომამდე

რუსეთის პრემიერ-მინისტრ დმიტრი მედვედევის შემდეგ, «რუსთავი 2“-ის ეთერში საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ვრცელი ინტერვიუ გავიდა. სააკაშვილი რუსეთის პრეზიდენტთან და პრემიერთან ურთიერთობის დეტალების შესახებ ჰყვება. როგორც სააკაშვილმა თქვა, იგი მზად იყო, ნატო-ში გაწევრიანებაზე, ამერიკის შეერთებულ შტატებთან ურთიერთობების გაღრმავებაზე უარი ეთქვა, თუ რუსეთი ტერიტორიებზე პროგრესის კუთხით დაეხმარებოდა. სააკაშვილი იხსენებს, რომ საქართველოს დელეგაციაში გელა ბეჟუაშვილი, გრიგოლ ვაშაძე, დავით ბაქრაძე და სხვები იყვნენ. **“პუტინს შევთავაზე, ეს ხელშეკრულებით დავაფიქსიროთ მეთქი. ამაზე პუტინი არც დაფიქრებულა, შემოგვხედა, გაიღიმა და თქვა - ბიჭებო, ჩვენ თქვენს ტერიტორიებს თქვენს გეოპოლიტიკურ ორიენტაციაზე არ ვცვლით. ეს იმას ნიშნავდა, რომ ტერიტორიებს ისედაც წაგვართმევდა,“** - ამბობს სააკაშვილი.

მიხეილ სააკაშვილმა, ასევე წარმოადგინა წერილები, რომლებიც მან მედვედევს და პუტინს გაუგზავნა. სააკაშვილი კრემლს სხვადასხვა სახის ხელშეკრულებებს სთავაზობდა, რომლებიც რუსეთს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საკმაოდ დიდ პრივილეგიებს მისცემდა. **რუსეთს გრძელვადიანი პერიოდით დაუკანონდებოდა მნიშვნელოვანი გავლენა საქართველოს ამ რეგიონებში,“** - აღნიშნავს სააკაშვილი. პრეზიდენტს ჰქონდა იმედი, რომ ამ გზით ლტოლვილების დაბრუნებას შეძლებდა, თუმცა მსგავსი შეთავაზებების მიუხედავად, რუსეთის დათანხმება ვერ შეძლო.

სააკაშვილი პუტინის არაკორექტული გამონათქვამების შესახებაც საუბრობს. როგორც პრეზიდენტი ამბობს, მედვედევთან დარეკვა ორჯერ სცადა, რათა შეხვედრის შესახებ შეთანხმებულიყვნენ.

გაგრძელება მე-2 გვერდზე

## ობამა პეტერბურგში ჩავა, მოსკოვში არა




ია შილაკაძე

ამერიკის პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ ტელეარხ „ენ-ბი-სი“-სთვის მიცემულ ინტერვიუში დაადასტურა, რომ სექტემბერში პეტერბურგში დიდი ოცეულის სამიტს დაესწრება, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის მიერ სნოუდენის შეფარების გამო ნაწყენია. ვიზიტი მოსკოვში, სადაც ობამა სამიტამდე ცალკე უნდა შეხვედროდა პუტინს, გაუქმდა. ეს ცნობილი გახდა უკვე გუშინ, საღამოს, აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციის განცხადების გამოქვეყნების შემდეგ.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

## „ეს თვალების ამხელი ინტერვიუ უნდა ყოფილიყო“

თიკა ნიკოლაძე

*6 აგვისტოს ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში რუსეთის ყოფილი პრეზიდენტის და ამჟამინდელი პრემიერ-მინისტრის დმიტრი მედვედევის ექსკლუზიური ინტერვიუ გავიდა. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელმა ქართულ ტელეკომპანიას ინტერვიუ პირველად მისცა.*

გადაცემა „პოზიციასთან“ ინტერვიუში დიმიტრი მედვედევმა განაცხადა, რომ საქართველო იმ შემთხვევაში შეძლებს რუსეთთან „ცივილიზებული, მეგობრული და კეთილმეზობლური“ ურთიერთობის აწყობას, თუ პოლიტიკოსები პრაგმატულები იქნებიან და გადაწყვეტილებას საბედისწერო შეცდომების გარეშე, სიტუაციიდან გამომდინარე მიიღებენ.

**„პოლიტიკოსები უნდა ეცადონ, ყველა საკითხი კანონმდებლობის ფარგლებში, საერთაშორისო სამართლის გათვალისწინებით, მოლაპარაკებათა მაგიდასთან გადაწყვიტონ და არა ზეწოლითა და ვილაც ოკეანისგაღმელ ავტორიტეტებზე აპელირებით,**“ - განაცხადა „რუსთავი 2“-თან ექსკლუზიურ ინტერვიუში დმიტრი მედვედევმა და აღნიშნა, რომ მასზე ქართველმა კოლეგამ ბიძინა ივანიშვილმა, დავოსში შეხვედრისას, პრაგმატული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა.

**„ჩვენ გვქონდა მოკლე, თუმცა ნორმალური, საკმაოდ მშვიდი, ამხანაგური საუბარი. მან ჩემზე პრაგმატული ადამიანის შთაბეჭდილება დატოვა. სხვათა შორის, მანამდე არ მყავდა ნანახი.**

გაგრძელება მე-6 გვერდზე

## პარლამენტმა ოპოზიციასთან ხელმოწერილი მემორანდუმი კანონმდებლობაში ასახა

*გუშინ პარლამენტმა რიგგარეშე სესიის ფორმატში მუშაობა სახელმწიფო ჰიმნით დაასრულა. პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, საგაზაფხულო სესია ივნისის ბოლო პარასკევს, 28 ივნისს დამთავრდა, თუმცა პარლამენტის თავმჯდომარემ პრეზიდენტს რიგგარეშე სესიის მოწვევის თხოვნით მიმართა.*

საშემოდგომო სესია სექტემბრის პირველ სამშაბათს, 3 სექტემბერს გაიხსნება.

ამასთან, პროცედურის მიხედვით, პარლამენტში პლენარული სხდომები საპრეზიდენტო არჩევნებამდე ერთი თვით ადრე შეწყდება.

ბოლო რიგგარეშე სხდომა პარლამენტართა განცხადებებით გაიხსნა. ფრაქცია „ნაციონალური მოძრაობა - მაჟორიტარების» თავმჯდომარემ აკაკი ბობოხიძემ დანაშაულის სტატისტიკის შესახებ ისაუბრა. როგორც ბობოხიძე ამბობს, ბოლო ათი წელია, საქართველოში საქმის გარჩევის გამო არავინ ჩაუცხრილავთ. პარლამენტარი მმართველ გუნდს მოუწოდებს, ყურადღება ბოლო თვეებში გახშირებულ მკვლელობებსა და სხვა ტიპის კრიმინალზე გაამახვილონ და არა პოლიციის მიერ გახსნილ საქმეებზე. **„ვაღიარებ, რომ სინამდვილეში, დანაშაულის იმხელა ბუმი არ არის, რაც ციხიდან ამდენი პატიმრის გაშვების შემდეგ იყო მოსალოდნელი.**

გაგრძელება მე-3 გვერდზე

| | | | |
|---|---|---|---|
| 1 აშშ დოლარი | | | 1.6452⇩ |
| 1 ევრო | | | 2.0679⇩ |
| 1 ინგლისური გირვანქა | | | 2.5746⇩ |
| 1 თურქული ლირა | | | 0.9116⇩ |
| 100 რუსული რუბლი | | | 5.1083⇩ |
| თბილისი | | | 33°C - 21°C |
| ქუთაისი | | | 29°C - 18°C |
| თელავი | | | 33°C - 16°C |
| ზუგდიდი | | | 28°C - 17°C |
| ბათუმი | | | 26°C - 17°C |
| ნავთობი | 2.75 | -0.01 | -0.43% |
| გაზი | 2.91 | +0.02 | +0.55% |
| ოქრო | 1,618.60 | -3.20 | -0.20% |
| ხორბალი | 799.25 | +0.00 | +0.00% |

"24 საათის" ელექტრონული ვერსია იხილეთ Web-გვერდზე
**www.24saati.ge**

ჩვენი პარტნიორები:

თიბისი ბანკი TBC BANK
ჩვენ ვაძლიერებთ ერთმანეთს

FM 102.4
საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი

ბანკი კონსტანტა BANK CONSTANTA

ISSN 1987 9121
9 771987 912100 >

## შორია ლიგამდე

### «დინამო» ევროპის ლიგის მოლოდინშია

გიგა გურასაშვილი

ჩემპიონთა ლიგის მესამე საკვალიფიკაციო ეტაპზე თბილისის «დინამოსგან» ბუქარესტში „სტიაუასთან“ ალბათ ყველაზე დიდი ოპტიმისტიც კი არ ელოდა სასწაულს. საქართველოსა და რუმინეთის ჩემპიონებს შორის ტაბლოზე ანთებული 1:1 დინამოელთათვის ამ ეტაპზე მაქსიმალური შედეგი აღმოჩნდა. აშკარა იყო, თბილისური მატჩის შემდეგ ორბურთიანი ჩამორჩენის სტუმრად აღმოფხვრა წარმოუდგენლად ჩანდა.

გაგრძელება მე-7 გვერდზე



## ფემინისტი მხატვრები აშშ-დან

1972 წელს აშშ-ში ნიუ იორკის შტატის ქალაქ ბრუკლინში ისტორიულ-სახელოვნებო რაიონში DUMBO პირველი ფემინისტური გალერეა A.I.R. (Artists in Residence მხატვრები სტუმრად“) დაარსდა, რომლის მიზანი გახლდათ ქალი მხატვრებისთვის პროფესიული თვითგამოხატვის ალტერნატიული სივრცის შექმნა. ზემოხსენებული გალერეა, ფაქტობრივად, გახდა გამომსახველობით ხელოვნებაში (მათ შორის, ბუნებრივია, ფოტოხელოვნებაშიც) როგორც ამერიკელ, ასევე უცხოელ ქალთა ხედვისა და შემოქმედებითობის პროპაგანდისტი: გახსნისთანავე ეიაიარში“ მოეწყო ფრანგი, იაპონელი, ისრაელელი და არაერთი სხვა ქვეყნის წარმომადგენელი არტისტების ექსპოზიციები, რომელიც ქალთა გლობალური დიალოგისა და ურთიერთგაცნობის მასტიმულირებელი გახდა.

გაგრძელება მე-5 გვერდზე



# ხუთი წელი აგვისტოს ომიდან

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან ხუთი წელი გავიდა.

ამ თარიღის გამო პარლამენტის რიგგარეშე სხდომა აგვისტოს ომის დროს დაღუპულთა ხსოვნისადმი პატივის მიგებით დაიწყო. დეპუტატებმა გარდაცვლილთა ხსოვნას წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს, მოგვიანებით კი პარლამენტარებმა აგვისტოს ომის თემაზე განცხადებები გააკეთეს.

თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ, მეუღლესთან და გაერთიანებული შტაბის ხელმძღვანელ ირაკლი ძნელაძესთან ერთად, 2008 წელს დაღუპული სამხედრო მოსამსახურეების შვილებს მთაწმინდის პარკ „ბომბორაში“ უმასპინძლა.

სამინისტროს ორგანიზებით, მთაწმინდის პარკის რესტორანში მიღება გაიმართა, სადაც ბავშვებს გადასცეს საჩუქრები და მედალიონები წარწერით „მამაჩემი გმირია“, რის შემდეგაც ბავშვებმა პარკში ატრაქციონებზე გადაინაცვლეს. ამასთან, ალასანიას განცხადებით, აგვისტოს ომში დაღუპული მეომრების შვილების საზაფხულო დასვენებას სახელმწიფო უზრუნველყოფს. ასევე, მათთვის განათლების ხარჯებსაც სახელმწიფო გაიღებს.

**„დღევანდელ დღეს, არა მარტო გმირებს ვიხსენებთ, არამედ მოვალეობას ვიხდით მათი ოჯახების წინაშე. ჩვენი ვალია, მათ შევუქმნათ ის გარემო, სადაც ღირსეული ქვეყნის შვილები დაიზრდებიან. მათი ჯანმრთელობა, მათი განათლება, სოციალური უზრუნველყოფა სახელმწიფოს და საზოგადოების მოვალეობაა. ამ ბავშვებს ჰყავდათ გმირი მამები. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მათ ღირსეული პირობები შევუქმნათ,“** - განაცხადა ალასანიამ.

მინისტრის თქმით, აგვისტოს ომი იყო რუსეთის აგრესიული ომი სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ და ოკუპაცია დღესაც გრძელდება. ალასანია აცხადებს, რომ გაერთიანებულ შტაბში შექმნილი კომისია უკვე სწავლობს და აანალიზებს არა მხოლოდ აგვისტოს ომს, არამედ საქართველოს ტერიტორიაზე ბოლო წლებში განხორციელებულ სამხედრო მოქმედებებს. მისი თქმით, კომისიის მუშაობის შედეგები მხოლოდ კომისიის მუშაობის დასრულების შემდეგ გახდება ცნობილი.

**„სპეციალური კომისია შეიქმნა. ეს კომისია არა მხოლოდ აგვისტოს ომის ანალიზს, არამედ მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე ბოლო წლებში განხორციელებულ სამხედრო მოქმედებებს სწავლობს და ტაქტიკურ-ოპორატიულ დონეზე აანალიზებს. ასევე სტრატეგიული გადაწყვეტილებების ანალიზიც გაკეთდება და ეს გახდება საფუძველი ჩვენი სწორი თავდაცვითი სტრატეგიის შესამუშავებლად. ეს გვჭირდება იმისთვის, რომ მომავალში ასეთი შეცდომები აღარ გავიმეოროთ. ვერ დავასწრებ მოვლენებს, ამ კომისიამ შესწავლა უნდა დაასრულოს და შემდეგ შედეგები საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნება. ამ კომისიის მიზანია სამხედრო ასპექტების შესწავლა, როგორ მიიღებოდა გადაწყვეტილებები ოპერატიულ-ტაქტიკურ და სტრატეგიულ დონეზე, რა ვერ შეძლო ქართულმა შეარაღებულმა ძალებმა და რა იყო ამის მიზეზი. თუკი კონკრეტული ბრალეულობა გამოვლინდა, ამას უკვე სამართალდამცავები განიხილავენ. კითხვაზე - თუ ვინ დაიწყო ომი და როგორ დაიწყო ომი, პასუხი გაცემული აქვს საქართველოსაც და საერთაშორისო თანამეგობრობასაც. ეს იყო რუსეთის აგრესიული ომი სუვერენული ქვეყნის წინააღმდეგ და დღესაც გრძელდება ოკუპაცია. ამ საკითხებში სიცხადე არსებობს როგორც ჩვენში, ასევე საერთაშორისო თანამეგობრობაში,“** - განაცხადა ირაკლი ალასანიამ.

შს მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თავის უწყებაში აგვისტოს ომის დროს დაღუპული პოლიციელების ოჯახის წევრებს უმასპინძლა. **„ომი ჩვენი ქვეყნის ტრაგედია იყო,“** - განაცხადა ღარიბაშვილმა. მისი შეფასებით, სამაგალითოა ის ადამიანები, რომლებმაც აგვისტოს ომის დროს საქართველოს ერთიანობას თავის შესწირეს.

**„აგვისტოს ომიდან 5 წელი გავიდა. ომში შსს-ს 14 თანამშრომელი დაიღუპა, ის ადამიანები გმირები იყვნენ, ჩვენთვის ვაჟკაცობისა და სამშობლოს სიყვარულის მაგალითის მიმცემი. ჩემი სურვილი იყო, მათ შვილებს შევხვედროდი და გარკვეული თანაგრძნობა გამომეხატა. მინდა, კიდევ ერთხელ მივუსამძიმრო მათ ოჯახებს და ვუთხრა, რომ მათ ჰყავდათ გმირი მამები, მეუღლეები და შვილები,“** - აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შს მინისტრმა ომში დაღუპული პოლიციელების შვილებს სამახსოვრო საჩუქრები - ველოსიპედები, აიპადები, აიფონები და სხვა ნივთები გადასცა.

რუსეთ-საქართველოს ომის ხუთი წლისთავის გამო განცხადება გაავრცელა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ. როგორც ანცხადებაშია ნათქვამი, 2008 წლის 7 აგვისტოს საქართველოს სუვერენულ ტერიტორიაზე შემოჭრისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი სამხედრო აგრესიის განხორციელებიდან ხუთი წლის შემდეგ, რუსეთის შეიარაღებულ ძალებს კვლავაც ოკუპირებული აქვთ საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი, რაც საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებს ეწინააღმდეგება.

**„შედეგად, რუსეთის შეიარაღებული ძალები არ აძლევენ ეთნიკური წმენდის რამდენიმე ტალღის, მათ შორის 2008 წლის აგვისტოს ომის, ასობით ათასობით მსხვერპლს საკუთარ სახლებში უსაფრთხო და ღირსეული დაბრუნების უფლებას. გარდა ამისა, რუსეთი განაგრძობს მისი ეფექტური კონტროლის ქვეშ მყოფი საქართველოს რეგიონების აღიარებისკენ მიმართულ მცდელობებს, მათ შორის, პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური ბერკეტების აქტიური გამოყენებით,“** - ნათქვამია განცხადებაში.

როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში აცხადებენ, რუსეთის ფედერაცია კვლავაც უგულებელყოფს და არღვევს ევროკავშირის შუამდგომლობით შემუშავებული და 2008 წლის 12 აგვისტოს საქართველოსა და რუსეთის მიერ ხელმოწერილი, ცეცხლის შეწყვეტის ექვსპუნქტიანი შეთანხმებით დაკისრებულ ვალდებულებებს.

საგარეო უწყებაში აღნიშნავენ, რომ რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომიდან ხუთი წლის შემდეგ საქართველოს მთავრობის მიზანს კვლავ წარმოადგენს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება მოლაპარაკებების გზით, საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების საფუძველზე.

**„საქართველო კონსტრუქციულად არის ჩართული ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებებში და დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არსებულ ფორმატში თანათავმჯდომარეებთან - ევროკავშირთან, გაერო-სა და ეუთო-სთან ერთად მუშაობის გააქტიურებას ორი ძირითადი მიზნის მისაღწევად, რაც გულისხმობს უსაფრთხოების საერთაშორისო მექანიზმების შექმნასა და გადაადგილებულ პირთა უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას. სამწუხაროდ, რუსეთმა გააძლიერა ჟენევის მოლაპარაკებების წინააღმდეგ მიმართული სტრატეგია, რაც კიდევ უფრო აფერხებს 12 აგვისტოს ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების შესრულების პროცესს.**

**საქართველო ცდილობს ომით გაყოფილ საზოგადოებას შორის ნდობის აღდგენასა და ხალხთაშორისი ურთიერთობების წახალისებას. აფხაზი და ოსი თანამემამულეებისთვის შერიგების ხელის გაწვდით, საქართველოს მთავრობის მიზანია, ხელი შეუწყოს მათ ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებას და შექმნას საერთო მომავლის შენების პირობები,“** - აღნიშნულია საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადებაში.

აგვისტოს ომში დაღუპული გმირის გიორგი ანწუხელიძის ოჯახს საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ესტუმრა. მისი განცხადებით, საქართველომ პირველად პოსტსაბჭოთა სივრცეში შექმნა პუტინის კოშმარი - ნამდვილი სახელმწიფო.

**„2008 წელი იყო ჩვენი ომი საქართველოს დამოუკიდებლობის და დამპყრობლისგან გათავისუფლებისთვის. დამპყრობელმა, რომელმაც ეკონომიკური, ენერგეტიკული ემბარგო და ყველანაირი პროვოკაციები მოგვიწყო და ბოლოს, როცა ვერც შიგნიდან და ვერც გარედან ვერაფერი გააწყო, პირდაპირ შემოვიდა ომით. და თუ არა გიორგისა და სხვა ქართველი მებრძოლების გაუტეხელი გმირობა, ქართული სახელმწიფო დღეს აღარ იარსებებდა და საქართველოს მომავალი აღარ ექნებოდა. ჩვენ პირველად შევქმენით პოსტსაბჭოთა სივრცეში პუტინის კოშმარი - ნამდვილი სახელმწიფო. ნამდვილი სახელმწიფო კი, მათ შორის, ეფუძნება პატრიოტებს, გმირებს და ჯარს. ჯარის გარეშე სახელმწიფო არ არსებობს. ბრიყვია ის, ვისაც მიაჩნია, რომ საქართველოს ჯარი არ უნდა ჰყავდეს ან ძალიან უმნიშვნელო უნდა ჰყავდეს. ბრიყვია ის, ვინც კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს, უნდა გაგვეწია თუ არა წინააღმდეგობა,“** - განაცხადა პრეზიდენტმა.

2008 წელს საქართველოს ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა ხსოვნას პატივი მიაგეს თბილისის მერმა გიგი უგულავამ და დედაქალაქის მთავრობისა და საკრებულოს წევრებმაც. უგულავამ და დედაქალაქის მთავრობის წევრებმა ერთიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესია გორის ციხეზე გააპროტესტა „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ და რუსეთის ხელისუფლებას საოკუპაციო ჯარების გაყვანისკენ მოუწოდა. გორის ციხეზე ჩირაღდნების აქცია გაიმართა, რომელშიც პარტიის ლიდერებმა მონაწილეობდნენ.

აგვისტოს ომიდან ხუთი წლისთავზე განცხადება გაავრცელა პატიმრობაში მყოფმა ყოფილმა შინაგან საქმეთა და პრემიერ-მინისტრმა ვანო მერაბიშვილმა.

განცხადებაში წერია, რომ 2008 წლის აგვისტოში ჩვენს ქვეყანას კიდევ ერთხელ მოუწია საკუთარი დამოუკიდებლობისა და თავისუფლების შენარჩუნებისთვის ბრძოლაში ჩაბმა.

**„მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილმა აგრესორმა ქვეყნის ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაცია მოახდინა და რამდენიმე ათეული ათასი ადამიანი დევნილად აქცია, ქართულმა ჯარმა და პოლიციამ, ქართული საზოგადოებისა და საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდაჭერით, მოახერხა ქვეყნის დამოუკიდებლობის შენარჩუნება.**

**ამ მძიმე დღეების ხუთი წლისთავზე მინდა, გავიხსენო ის ვაჟკაცები, ქართველი გმირები, რომლებმაც სამშობლოს დასაცავად თავი გაწირეს და პატივი მივაგო მათ ხსოვნას. მინდა, მხარდაჭერა და ნუგეში გამოვხატო მათი ოჯახის წევრების მიმართ. ჩვენი ვალია, რომ ყველანაირად შევუმსუბუქოთ მათ მშობლებს, მეუღლეებსა თუ შვილებს ის დიდი დანაკარგი, რაც მათ განიცადეს. ჩვენი ვალია, რომ ბოლომდე მივიყვანოთ ის საქმე, რომლისთვისაც ამ გმირებმა თავი გაწირეს და არასდროს დავუშვათ საქართველოს დამოუკიდებლობის და ჩვენი ხალხის თავისუფლების ხელყოფა. აქვე მინდა, ჩემი მადლიერება გამოვხატო იმ პოლიციელების მიმართ, რომლებიც დღესაც მსახურობენ ოკუპაციის ხაზზე მდებარე საგუშაგოებზე, დღისით თუ ღამით, ქარსა თუ წვიმაში, უშიშრად იცავენ ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების მშვიდ ცხოვრებას,“** - ნათქვამია განცხადებაში.

აგვისტოს ომში დაღუპულ ქართველ სამხედროებს პატივი მიაგეს არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებმაც. „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ პრეზიდენტობის კანდიდატი გიორგი თარგამაძე და მოძრაობის ლიდერები გორის რაიონის სოფელ შინდისთან 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპული ქართველი სამხედროების მემორიალთან იმყოფებოდნენ.

რაც შეეხება საქართველოს პრემიერ-მინისტრ ბიძინა ივანიშვილს, ის 8 აგვისტოს, თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიასთან ერთად, მუხათგვერდის სამხედრო სასაფლაოზე გმირთა მემორიალს გვირგვინით შეამკობს. პრემიერი და თავდაცვის მინისტრი სასაფლაოზე 12:30 საათზე მივლენ, 17:30 საათზე კი ბიძინა ივანიშვილი გორის ცენტრალურ მოედანზე სამხედრო მოსამსახურეთა ფიცის მიღების ცერემონიას დაესწრება.

# ლიდერთა საუბრები 2008 წლის ომამდე

პირველი გვერდიდან

**„მედვედევს ვურეკავდი, მაგრამ პუტინმა აილო ყურმილი. მკითხა, მედვედევს რას ურეკავ, ჩემთან არ გაქვს საქმეო? მეორედ რომ დავურეკე, საერთაშორისო თანამეგობრობის კრიტიკულ განცხადებებზე მივუთითე, პუტინს ვეუბნები, ხომ ნახეთ ევროკავშირის განცხადება? ხოო, ცუდი განცხადება იყოო და ვხედავ უკვე აგდებული, დამცინავი ტონით საუბრობს; ეუთო-ს განცხადებაც ხომ ნახეთ მეთქი? კი, ეუთო-ს განცხადებაც ვნახე, რუსეთი ისეთი გაკრიტიკებულია, პირდაპირ აღარ შეიძლებაო; უფრო მეტიც, ამერიკელების განცხადებაც ვნახე, ბუშის, ბიჭო, რა საშინელი ტონი ჰქონდათ რუსეთის მიმართ, - ამ ყველაფერს ირონიულად ამბობდა. ხო, მიხაილ ნიკალაევიჩ, ძალიან ბევრი ქაღალდიაო. მე ვუთხარი, ქაღალდია თუ რაც არის, სერიოზული ხალხის განცხადებებია მეთქი. ჰოდა, ბევრი ქაღალდი რომ არის, ეს ქაღალდი რომ დაახვიონ და ერთ ადგილზე რომ გაიკეთონო**... ეს ბევრად უფრო უხეშად თქვა, რის გამოც გავშრი. კიდევ დამიკონკრეტა მისამართი, რისი გამეორებაც არ მინდა... მე ცხოვრებაში მასთან არ მიკადრებია, რომ ტონი ამეწია,“ - ჰყვება საქართველოს პრეზიდენტი.

სააკაშვილი ამბობს, რომ მას მედვედევი კარგა ხნის განმავლობაში ემალებოდა, მის ტელეფონს კი მშობელივით მუდმივად პუტინი პასუხობდა. მიხეილ სააკაშვილმა გაიხსენა, რომ ბოლოს დმიტრი მედვედევს ასტანაში, პრეზიდენტ ნაზარბაევის იუბილეზე, 2008 წლის 6 ივლისს შეხვდა. **„ახალი ობიექტების დათვალიერებისას დავდევდი მედვედევს და ის მემალებოდა - გარბოდა. ბენკეტის შემდეგ ღამის კლუბში წავედით. მედვედევი გავიდა და მოედანზე ცეკვავდა, შუა აზიის ლიდერები გაფართოებული თვალებით უყურებდნენ. მეც შევყევი საცეკვაო მოედანზე, დავავლე ხელი და გამოვიყვანე. დავადე ხელი მუხლზე, რომ არ გაქცეულიყო, სოჭში შეხვედრაზე დაველაპარაკე. მითხრა, ძალიან მომწონხარო, ერთი ასაკის ვართ, ერთი განათლება გვაქვს, ერთი მუსიკა მოგვწონსო, მაგრამ მოსკოვში თამაშის სხვა წესებიაო და მათ მე არ ვაწესებო. ვუთხარი, რომ ყოველდღე პროვოკაციებია და უარესი სიტუაცია წარმოუდგენელია მეთქი. მან კი მიპასუხა, ძალიან ცდებიო. დაინახავ, რომ ძალიან მალე ბევრად, ბევრად უარესი იქნებაო. შემდეგ მიხვდა, რომ ზედმეტი თქვა და სადღაც გაიქცა,“** - ამბობს სააკაშვილი.

საქართველოს პრეზიდენტმა კიდევ ერთი შემთხვევა გაიხსენა, როდესაც 2007 წელს, მედვედევის დაბადების დღეზე, პუტინმა კონდოლიზა რაისს უთხრა, რომ საქართველოში ომი უნდა იყოს. როგორც პრეზიდენტი აღნიშნავს, ამ ნათქვამის გამო კონდოლიზა რაისი პუტინს წამოუხტა და სუფრას ტოვებდა. **რუსეთმა მაშინ ეს სიგნალი მიიღო და უკან დაიხია,“** - ამბობს სააკაშვილი, თუმცა აზუსტებს, რომ პუტინის განცხადებას საჯარო რეაქცია არ მოჰყოლია. სააკაშვილის თქმით, ასევე 2007 წელს პუტინმა დაღესტანში სამთო ბრიგადების ჩამოყალიბება დიწყო და იკითხა - აქედან გზა გადადის საქართველოშიო. **კი არ წამოსცდა, ეს ტელევიზიით საგანგებოდ გაუშვეს, რომ ჩვენ მოგვესმინა, უცხოელებს მოესმინათ. რუსები აკვირდებოდნენ, რა რეაქცია იქნებოდა. არც არანაირი რეაქცია ჰქონიათ. კონდილიზას კი ჰქონდა იქ რეაქცია, მაგრამ საჯაროდ არ გამოუხატავს,“** - ამბობს მიხეილ სააკაშვილი.

პუტინთან ურთიერთობის ერთ-ერთ მაგალითად სააკაშვილს აჭარაში ასლან აბაშიძის რეჟიმის შეცვლა მოჰყავს. **პუტინს, როდესაც მას „აჭარა წავართვით“, კრავის ხმით დავურეკე და აჭარის საქართველოში რეინტეგრაციისთვის კონსტრუქციული როლისთვის მადლობა გადავუხადე. მან მითხრა, რომ აჭარაზე დაგვეხმარნენ, მაგრამ აფხაზეთსა და ცხინვალზე იმავეს ვერ მივიღებდით. პირდაპირ მითხრა - შენ მე ერთხელ გამაცურე, მაგრამ შენი მოსატყუებელი კბილი მოცვლილი მაქვს და ამას ველარ ეღირსებიო,“** - აღნიშნა პრეზიდენტმა. მიხეილ სააკაშვილმა დსთ-ს სამიტზე პუტინთან პირისპირ შეხვედრაც გაიხსენა, სადაც იგი პუტინმა „უხეშად გააფრთხილა“, რომ ჩრდილოეთ კვიპროსის მსგავს სცენარს მოუწყობდა.

**„ჩრდილოეთ კვიპროსი ნიშნავს, რომ ვითომ შენ იწყებ ომს, შემდეგ ის გპასუხობს, შენს ტერიტორიებს იპყრობს და მათ დამოუკიდებლობას აღიარებს. მე მასთან მშვიდად დალაპარაკებას ვცდილობდი. მართალია, რუსულ მედიაში ხშირად ავრცელებენ სხვადასხვა სახის ინფორმაციას, მაგრამ პუტინს უხეშად არასდროს დაველაპარაკებივარ,“** - აღნიშნა სააკაშვილმა.

კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელიც 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომს წინ უძღოდა, გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ფრანკ-ვალტერ შტაინმაიერის ვიზიტი იყო. როგორც სააკაშვილი ამბობს, შტაინმაიერმა საქართველოს მთავრობის წევრებს ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, ბათუმის ერთ-ერთ სასტუმროში განუცხადა - რა ახალი სამშვიდობო ფორმატი, ბიჭებო, მალე აქ თქვენ ომი გექნებათო.

სააკაშვილი შტაინმაიერის სიტყვებს აშშ-ს ყოფილი სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის ნათქვამს ადარებს: **„კონდოლიზა იძახდა, რა ომი, დაივიწყეთ ეს, რადგან რუსები ამას არ იზამენო. შტაინმაიერმა კი პირიქით გვითხრა, რომ იზამდნენ. შტაინმაიერმა გვითხრა: ახლა ესენი პროვოკაციებს გააგრძელებენ, მერე რაღაც ეტაპზე მოგიხდებათ მათი სამშვიდობო სტატუსის გაუქმება. მერე ისინი სულ უფრო მეტად გესვრიან, გააძლიერებენ თავის ჯარს და რაღაც მომენტში თქვენ ვალდებულები იქნებით, უპასუხოთო, რის შემდეგაც დიდი ომი დაიწყებაო. მერე კი ევროკავშირის ერთადერთი ფუნქცია იქნება, შუაში შემოვიდეს და გაგყოთო. სხვა ფუნქცია და ახალ ფორმატზე საუბარი წინასწარ არ იქნებაო. ყველაფერი ზუსტად ასე მოხდა, გარდა სამშვიდობო სტატუსის გაუქმებისა. მე რომ სამშვიდობო სტატუსი გამეუქმებინა, იგივე ევროპელები გვეტყოდნენ, თქვენ გააუქმეთ სამშვიდობო სტატუსი და გააკეთეთ პროვოკაცია. ანუ მგელი გაბრაზდა ცხვრის დაუფიქრებელი ნაბიჯისგანო. ჩვენ ესეც არ გავაუქმეთ და ერთადერთი იმას გვედავებიან, რომ იქ სამშვიდობოები იყვნენ და რატომ შეხვედითო. ამის შემდეგ დაიწყო ომი.“**

*საკუთარი ინფორმაცია*

**გაზეთ "24 საათის" გამომცემელი შპს "მვპ". რედაქტორ-გამომცემლები:**
მამუკა ფაჩუაშვილი, პაატა ვეშაპიძე.
**რედაქცია:** სოფიკო ჩხაიძე (მთავარი რედაქტორი), რედაქტორები: მაია ჭალაგანიძე (საზოგადოება,Weekend), ინგა ალავიძე (სამართალი), დავით ნინიკაშვილი (ბიზნესი), ივა შილაკაძე (უცხოეთი)
სოფო კილასონია (რევიუ), კახა ფაჩუაშვილი (სპორტი). **რეკლამის და მარკეტინგის მენეჯერი** *ირაკლი ლეჟავა ტელ: 899 22 09 49.* კომპიუტერული ცენტრი: ირმა ჯიშკარიანი, თენგიზ ქირია, ნინო ყაველაშვილი **რედაქციის მისამართი: ქ თბილისი, კოსტავას ქ. № 68, საზოგადოებრივი მაუწყებელი, მე-3 კორპუსი, მე-3 სართული. ტელ: 40-94-45; 40-94-46; 40-94-47; 40-94-48 ელ-ფოსტა: public@24hours.ge**

# პარლამენტმა ოპოზიციასთან ხელმოწერილი მემორანდუმი კანონმდებლობაში ასახა

პირველი გვერდიდან

**ვაღიარებ, რომ პოლიცია, რომელიც ჩვენ შევქმენით, დღესაც ჯერჯერობით ეფექტურად მუშაობს. თქვენ კი ჯერჯერობით პოლიციაში არანაირი რეფორმა არ გაგიტარებიათ და ახალი არაფერი გაგიკეთებიათ. დიახ, პოლიცია მუშაობს და ჩადენილ დანაშაულს ხსნის, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტრომ მხოლოდ დანაშაულის გახსნით არ უნდა იამაყოს. მთავარია, დანაშაულის პრევენცია და დღე არ გავა ბათუმში, ვიღაც არ მოკლან. ყოველდღიურად ვრცელდება ინფორმაცია ადამიანების მკვლელობის და ჩაცხრილვის შესახებ. სწორედ, ამას უნდა მიაქციოთ ყურადღება,"** - მიმართა ბობოხიძემ უმრავლესობას.

პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია „ნაციონალურ მოძრაობას» პასუხობს და აღნიშნავს, რომ ოფიციალური სტატისტიკით, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, დანაშაულის რაოდენობა 4 126 ერთეულით შემცირებულია. **„ეს იმ ფონზე ხდება, როცა სხვადასხვა ჰუმანური გადაწყვეტილებების შედეგად 14 ათასზე მეტი პატიმარი ციხიდან გამოვიდა,"** - აღნიშნავს ბესელია.

კომიტეტის თავმჯდომარე სამართლიანობის აღდგენის საკითხზეც საუბრობს და მიიჩნევს, რომ ამ მიმართულებით კიდევ ბევრი პოლიტიკური ნაბიჯია საჭირო. **„ეს იმ ადამიანებისთვის უნდა გაკეთდეს, რომლებიც საპატიმროებში საქმის გადახედვას ელოდებიან,"** - დასძენს ბესელია.

პარლამენტართა გამოსვლების შემდეგ პარლამენტი „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" კანონში შესატანი ცვლილებების პროექტის დაჩქარებული წესით განხილვას შეუდგა.

კანონპროექტის მომხსენებელმა, ინტერფრაქციული ჯგუფის ხელმძღვანელმა ზაქარია ქუცნაშვილმა ინტერფრაქციული ჯგუფის მუშაობაში მონაწილე პარტიებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საარჩევნო გარემოს გაუმჯობესებისთვის მუშაობა გაგრძელდება. მან ის კონკრეტული მიმართულებებიც დაასახელა, სადაც ცვლილებები უნდა შევიდეს. **„მინდა, გითხრათ, რომ ოთხი მიმართულებით, რაზეც მუშაობის დაწყებისას ვალდებულება ავიღეთ, პროგრესი მიღწეულია და ამის უარყოფა ობიექტურ და სამართლიან ადამიანს გაუჭირდება. თუმცა, სრულყოფილი და სამართლიანი საარჩევნო გარემოს მისაღწევად ასევე შესაცვლელია წინასაარჩევნო კამპანიის დროს მედიის როლის საკითხები და საარჩევნო სისტემა, რაც პირდაპირ კონსტიტუციურ რეფორმას უკავშირდება. კონსტიტუციური რეფორმის ფარგლებში ასევე მოსაწესრიგებელია საარჩევნო ადმინისტრაციის ანუ კომისიების საკითხი, რათა არსებული მოდელი პარტიული წარმომადგენლობის მხრივ უკეთესი გახდეს,"** - თქვა ზაქარია ქუცნაშვილმა.

ქუცნაშვილი, სასამართლო რეფორმის კვალდაკვალ, საარჩევნო დავების განხილვის ახალი მექანიზმის ჩამოყალიბების შესახებაც საუბრობს. მისი თქმით, კარგად უნდა იყოს გააზრებული, რომელი ინსტანციის სასამართლოში უნდა მიმდინარეობდეს საარჩევნო დავების განხილვა. **„უნდა ჩამოვყალიბდეთ, ამისთვის სპეციალიზირებული სასამართლოა საჭირო თუ განხილვა საერთო სასამართლოებში უნდა მიმდინარეობდეს. ამ საკითხებზე პოზიციების შეჯერების შემდეგ შეიძლება ითქვას, რომ საარჩევნო გარემო, ჯამში, თვისობრივად გაუმჯობესებულია,"** - მიიჩნევს ზაქარია ქუცნაშვილი.

დღის წესრიგში შესული კანონპროექტი კი პარლამენტმა ჯერ მეორე მოსმენით, ხოლო მოგვიანებით მესამე მოსმენით, 86 ხმით, ერთხმად მიიღო.

*საკუთარი ინფორმაცია*

# ყოფილი მოსამართლეების საკითხს პარლამენტი განიხილავს

ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის ყოფილი მოსამართლეებისთვის: მერაბ ტურავასთვის, ნინო გვენეტაძისთვის, თამარ ლალიაშვილისა და მურმან ისაევისთვის უზენაესი სასამართლოს წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის საკითხი შეისწავლა და პოლიტიკურ დევნად შეაფასა.

კომიტეტის გუშინდელ სხდომაზე დეპუტატებმა კომიტეტის დასკვნა განიხილეს და პლენარულ სხდომაზე საკითხის გატანის გადაწყვეტილება მიიღეს. **ოთხივე მოსამართლის მიმართ ყოფილი ხელისუფლების სამივე შტოს მხრიდან დასტურდება პოლიტიკური მოტივით დისციპლინური დევნის ფაქტი. ეს მოსამართლეები თავიანთი მიუკერძოებლობითა და დამოუკიდებლობით გამოირჩეოდნენ, საზოგადოებაში მაღალი რეპუტაციით სარგებლობდნენ, არიან სამართლის სფეროში აღიარებული სპეციალისტები, რასაც ადასტურებს მათი სამეცნიერო და პრაქტიკული გამოცდილება. კომიტეტი იზიარებს თვალსაზრისს, რომ მათ მიმართ განხორციელებული დისციპლინური დევნა სამართლის ნორმის ინტერპრეტაციისთვის წარმოადგენდა მხოლოდ საბაბს, რადგან სხვანაირად მათ სამოსამართლეო უფლებამოსილების ათწლიანი ვადის ამოწურვამდე ვერ გაათავისუფლებდნენ,"** - აღნიშნა ეკა ბესელიამ. მას მიაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტმა მოსამართლეების დარღვეული უფლებების აღდგენის საკითხზე უნდა იმსჯელოს.

კომიტეტის მიერ მიღებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ თავის დროზე პარლამენტის ცალკეული დეპუტატების მხრიდან გამოჩენილი ძალისხმევის მიუხედავად, პარლამენტმა უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებისთვის კონსტიტუციით მინიჭებული გარანტიები არ დაიცვა და ისინი დაკავებული თანამდებობიდან ვადაზე ადრე, პოლიტიკური მოტივით გაათავისუფლა.

კომიტეტში წარდგენილი ინფორმაციით ირკვევა, რომ მოსამართლეთა გათავისუფლების გამო კრიტიკული მოსაზრებები გამოთქვეს, როგორც ქართულმა საზოგადოებამ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებმა და ინსტიტუტებმა:

**„ევროპის მოსამართლეები და პროკურორები დემოკრატიისა და ფუნდამენტალური უფლებებისთვის, 2006 წლის 16-17 ივნისის რეზოლუციით, შეშფოთებას გამოთქვამს უზენაესი სასამართლოს ოთხი მოსამართლის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის გამო და მათი გათავისუფლების საფუძვლად მთავრობის ნება-სურვილისადმი მოსამართლეთა დაუმორჩილებლობას მიიჩნევს. მოსამართლეთა მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების შესახებ კრიტიკული შეფასება ვენეციის კომისიამ გამოთქვა. 2007 წლის 19 მარტით დათარიღებულ დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საპროცესო კოდექსის არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე დისციპლინური დევნა მოსამართლეთა დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის პრინციპებს ხელყოფს."**

*საკუთარი ინფორმაცია*

# მთავრობის ეკონომიკური გუნდი პარლამენტში

საპარლამენტო უმრავლესობამ გუშინ მთავრობის ეკონომიკური გუნდის წარმომადგენლებს პარლამენტში დახურულ ფორმატში მოუსმინა.

ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრებმა კანონმდებლებს მიმდინარე წლის ფინანსურ-ეკონომიკური ვალდებულებების სრულად შესრულების დაპირება მისცეს.

შეხვედრის შემდეგ პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებლად შეაფასა და აღნიშნა, რომ უახლოეს მომავალში ინვესტიციების მიმართულებით სერიოზული გააქტიურებაა მოსალოდნელი. უსუფაშვილი ინვესტიციების მოზიდვის შემაფერხებელ ფაქტორად ინვესტორებში პოლიტიკური არასტაბილურობის განცდას ასახელებს.

რაც შეეხება შეხვედრაზე განხილულ სხვა საკითხებს, როგორც უსუფაშვილი ამბობს, საუბრის თემა იყო კონკრეტული ინფრასტრუქტურული პროექტები, მომავალი წლის ძირითადი პარამეტრები, საყოველთაო დაზღვევის პროგრამის შესრულება და ასევე სახელმძღვანელოების უფასოდ დარიგება. გარდა ამისა, უსუფაშვილი აღნიშნავს, რომ შეხვედრაზე მიღებული ინფორმაციის თანახმად, ქვეყანაში ეკონომიკური ვარდნა 2012 წლის ივლისს დაიწყო და ეს ტენდენცია მიმდინარე წლის მარტამდე გრძელდებოდა. **ძირითადი ბარიერები გადალახულია. სოფლის მეურნეობის მიმართულებით უამრავი პროექტი განხორციელდა, თუმცა გადაუჭრელ პრობლემად გლეხებისთვის იაფი კრედიტის გაცემის საკითხი რჩება. ამ მიმართულებით მთავრობა აგრძელებს მუშაობას,"** - დასძენს პარლამენტის თავმჯდომარე.

პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარე დავით ონოფრიშვილი ირწმუნება, რომ ხელფასების, პენსიებისა და სოციალური დახმარებების გაცემის, ასევე ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების კუთხით ქვეყანაში შეფერხება არ იქნება. ონოფრიშვილის შეფასებით, მიმდინარე წლის მეორე ნახევარი უკეთესი იქნება, ვიდრე პირველი. **2014 წლის პროგნოზი საკმაოდ იმედიანია, როდესაც ინვესტორებთან მუშაობა უკვე რეალურ შედეგებს მოიტანს,"** - თქვა ონოფრიშვილმა.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრი, ვიცე-პრემიერი გიორგი კვირიკაშვილი მიიჩნევს, რომ ქვეყანაში დაბალი ეკონომიკური მაჩვენებლები კონკრეტული მიზეზებით არის გამოწვეული, თუმცა მომავლის პერსპექტივა დადებითია.

კვირიკაშვილის თქმით, მინისტრები და პარლამენტი უფრო მჭიდრო კოორდინაციაზე შეთანხმდნენ. **„ყველამ ერთად უნდა ვიმოქმედოთ. პოლიტიკური დაძაბულობა ჯანსაღ ოპონირებაში უნდა გადავიდეს, ბიზნესის თავისუფლების ხარისხისთვის დაძაბულობის ფონის მოხსნა მნიშვნელოვანია,"** - ამბობს გიორგი კვირიკაშვილი.

ფინანსთა მინისტრ ნოდარ ხადურის ინფორმაციით, ქვეყნის ბიუჯეტს არავითარი პრობლემა არ აქვს და ის ყველა სოციალურ ვალდებულებას დააფინანსებს, მათ შორის გაზრდილ ვალდებულებებსაც.

ჟურნალისტებთან საუბრისას ხადური უმცირესობის ლიდერ დავით ბაქრაძის შეთავაზებას გამოეხმაურა, რომელიც მთავრობას რჩევებს აძლევს და პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას ითხოვს. **ჩვენ ბაქრაძემ რა უნდა გვასწავლოს. როგორ დავატეროროთ ბიზნესი? როგორ გამოვყაროთ ადამიანები სახლებიდან? მათ 9 წელი ჰქონდათ იმისთვის, რომ ქვეყანა ფეხზე დაეყენებინათ,"** - თქვა ნოდარ ხადურმა.

ფინანსთა მინისტრი ასევე გამოეხმაურა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომელიც ქვეყანაში ეკონომიკური მაჩვენებლების ვარდნას ეხება. ხადური მიხეილ სააკაშვილს მოუწოდებს, ერთხელ მაინც თქვას სიმართლე.

შეხვედრაზე მყოფმა მაჟორიტარმა დეპუტატებმა კი თავიანთი რაიონების პრობლემების შესახებ ისაუბრეს.

გუშინ საპარლამენტო უმრავლესობის და მთავარ პროკურორ არჩილ კბილაშვილის შეხვედრაც იყო დაგეგმილი, თუმცა როგორც ბიუროს სხდომაზე დავით უსუფაშვილმა თქვა, მთავარმა პროკურორმა მას დაურეკა და მოუბოდიშა, რომ გადაუდებელი საქმის გამო საკანონმდებლო ორგანოში ვერ მივიდოდა. **„დეტალები არ უთქვამს, მაგრამ დამაინტრიგა, მნიშვნელოვანი საქმეაო,"** - თქვა დავით უსუფაშვილმა.

*საკუთარი ინფორმაცია*

## საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით, ქვემო ალვანში გიორგი ანწუხელიძის მონუმენტი დაიდგმება

საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, სოფელ ქვემო ალვანში 2008 წლის აგვისტოს ომის დროს დაღუპული სამხედრო მოსამსახურის გიორგი ანწუხელიძის მონუმენტი დაიდგმება.

ამის შესახებ პრეზიდენტმა გუშინ, გარდაცვლილი სამხედრო მოსამსახურის ოჯახში სტუმრობისას განაცხადა.

მიხეილ სააკაშვილმა დაღუპული ჯარისკაცის დედასთან კიდევ ერთხელ გაიხსენა 2008 წლის ომში მისი შვილის გმირობის მაგალითი და გმირის გაზრდისთვის მადლობა გადაუხადა.

„სწორედ ასეთი გმირების თავდადებაზე დგას საქართველოს სახელმწიფოებრიობა, დამოუკიდებლობა და თავისუფლება. გიორგი ანწუხელიძის პატივსაცემად სოფელში მონუმენტი დაიდგმება. ეს, მართლაც, წარმოუდგენელი გმირობაა. ვიღაცას შეიძლება არ ესმოდეს, მაგრამ ყველა სკოლაში უნდა ისწავლებოდეს გიორგი ანწუხელიძის, ზაზა დამენიას, ჟიული შარტავას გმირობა - რას ნიშნავს ეს საქართველოსთვის, რატომ არის მნიშვნელოვანი და რატომ გადარჩა ეს ერი," - განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა.

ქვეყნის პირველმა პირმა, გიორგი ანწუხელიძის დედასთან ერთად, ის ადგილიც მოინახულა, სადაც გმირულად დაღუპული სამხედრო მოსამსახურის ძეგლს დადგამენ.

ამასთან, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, გიორგი ანწუხელიძის სახელი ალვანისა და თბილისის ერთ-ერთ ქუჩას მიენიჭება.

«სანამ ასეთი ქართველები გვყავს, საქართველოს გადაშენება არ უწერია. ვიღაცებს სასაცილოდ არ ჰყოფნით და ამბობენ, რომ ჯარი არაფერში გვჭირდება და უნდა გავაუქმოთ. ჯარი თუ არ გვჭირდება, მაშინ ქვეყანა რაში გვჭიდება, სახელმწიფო რაში გვჭირდება. არ არის ჯარი - არ არის სახელმწიფო, არ არის სახელმწიფო - არ არის საქართველოს ისტორია და საქართველოს მომავალი. ის ხალხი, ვინც ამას ამბობს, პოლიტიკოსები თუ არაპოლიტიკოსები, ხანდახან მართლა გულწრფელად მგონია, რომ საერთოდ მთელი ცხოვრება მონობაში ყოფნას იმსახურებენ და არაფერს კარგს და თავისუფლებას არ უნდა ელირსონ. მაგრამ ის ერი, ის სოფელი, ის ოჯახი, ის მხარე, რომელმაც გაზარდა გიორგი ანწუხელიძე, ნამდვილად იმსახურებს, რომ ჰქონდეს სახელმწიფო. 2008 წელი იყო ჩვენი ომი საქართველოს დამოუკიდებლობისა და დამპყრობლისგან გათავისუფლებისთვის. დამპყრობელმა, რომელმაც ეკონომიკური, ენერგეტიკული ემბარგო და ყველანაირი პროვოკაციები მოგვიწყო და ბოლოს, როცა ვერც შიგნიდან და ვერც გარედან ვერაფერი გააწყო, პირდაპირ ომით შემოვიდა და თუ არა გიორგისა და სხვა ქართველი მებრძოლების გაუტეხელი გმირობა, ქართული სახელმწიფო დღეს არ იარსებებდა და საქართველოს მომავალი აღარ ექნებოდა. პოსტსაბჭოთა სივრცეში ჩვენ პირველად შევქმენით პუტინის კოშმარი - ნამდვილი სახელმწიფო და ნამდვილი სახელმწიფო მათ შორის ეფუძნება პატრიოტებს, გმირებს და ჯარს. ჯარის გარეშე სახელმწიფო არ არსებობს. ბრიყვია ის, ვისაც მიაჩნია, რომ საქართველოს ჯარი არ უნდა ჰყავდეს ან ძალიან უმნიშვნელო უნდა ჰყავდეს. ბრიყვია ის, ვინც კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს, უნდა გაგვეწია თუ არა წინააღმდეგობა. გიორგი ანწუხელიძემ ეს არ დასვა კითხვის ნიშნის ქვეშ და იგი მართლა არის ჩემთვის საქართველოს სიმბოლო. საქართველოსი, რომელსაც თავზე ათასი გადამთიელი, მომხდური, გარეწარი, დამპყრობელი ახტება და ცდილობს, წელში გატეხონ, მიწასთან გაასწორონ და მაინც წელში იმართება ბოლომდე და ბოლომდე არ კარგავს ამ ღირსებას და სიამაყეს. 9 ძმა ხერხეულიძე, ცოტნე დადიანი და ბევრი სხვა ჩვენი გმირი ვიდეოზე არ გვინახავს და მე ვიტყოდი, რომ გიორგი ანწუხელიძე პირველი დიდი ქართული გმირობაა, რომელიც შემოინახა ვიდეომ, რომლის ნახვაც მომავალ თაობებს შეუძლიათ. და როდესაც ამ გმირობას ვუყურებ, მართლა ვხვდები, რამ გადაარჩინა წინა საუკუნეებში საქართველო, როცა ვიდეო და „იუთუბი" არ არსებობდა. ახლა მობილურიც არსებობს, ვიდეოც, მაგრამ გმირობის შინაარსი არ შეცვლილა. იარაღიც სხვანაირია, არმიაც სხვანაირია. გმირი ან ხარ, ან არ ხარ. ლაჩარი ან ხარ, ან არ ხარ. ძალიან ბევრს თვალშიც არ ხვდება გიორგი ანწუხელიძის გმირობა, რადგან მაშინ საკუთარ ლაჩრობას ველარ ამართლებს. სანამ გიორგი ანწუხელიძის სახელი არსებობს, არსებობს იმის განცდა, რომ საქართველოსთვის ბრძოლაც ღირს და სიკვდილიც ღირს. მას ყველაზე მეტად უყვარდა სიცოცხლე და ვისაც ყველაზე მეტად უყვარს სიცოცხლე, ის არის თავდადებული. ვისაც არც თავი უყვარს, არც სამშობლო უყვარს, მისგან არაფერი დადგება. გიორგი ანწუხელიძის სახით, ნამდვილი გმირი მთელმა საქართველომ და მსოფლიომ ნახა, ასეთი რამეები არ ხდება არც აფექტში, არც შემთხვევით. ასეთად ბავშვობიდან დედამ უნდა აღგზარდოს და გარემოებამ გაგზარდოს.»

## მესტიის პოლიციის უფროსი შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დაითხოვეს

მესტიის პოლიციის უფროსი ილია გერლიანი თანამდებობიდან გათავისუფლდა, - ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს" შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურის უფროსმა ნინო გიორგობიანმა განუცხადა.

მისივე განმარტებით, გერლიანის გათავისუფლების მიზეზი გენინსპექციის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევები იყო.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გენინსპექციის მიერ ჩატარებული სამსახურებრივი შემოწმების შედეგად გამოვლენილი მნიშვნელოვანი დარღვევების გამო, შს ორგანოებიდან დათხოვნილ იქნა მესტიის სამმართველოს უფროსი ილია გერლიანი და თანამდებობრივად დაქვეითდა მისი მოადგილე მანუჩარ გირგვლიანი," - განმარტა გიორგობიანმა.

მესტიის პოლიციის სამმართველოში გენერალური ინსპექციის შესვლის შესახებ „ინტერპრესნიუსს" ინფორმაცია მესტიის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა ვიქტორ ჯაფარიძემ მიაწოდა. მისი განმარტებით, რაიონის პოლიციის სამმართველოში გენინსპექციის შესვლას წინ უძღოდა პოლიციის უფროსისადმი სამსახურის დატოვების შესახებ განცხადების დაწერის მოთხოვნა.

## როუჰანი ბირთვული მოლაპარაკებების განახლებას აპირებს

თავისი ინაუგურაციის შემდეგ პირველივე პრესკონფერენციაზე ირანის ახალმა პრეზიდენტმა ჰასან როუჰანიმ საერთაშორისო საზოგადოებას ქვეყნის ბირთვული პროგრამის შესახებ „სერიოზული და შინაარსობრივი“ მოლაპარაკებების გამართვისკენ მოუწოდა. როუჰანის ეჭვი არ ეპარება, რომ ორივე მხარე შეძლებს საინტერესო საკითხებზე საერთო ენის გამონახვას. მისი სიტყვებით, ყველაფერი შეიძლება, მოლაპარაკების მაგიდასთან გადაწყდეს და არა მუქარის გზით. როუჰანიმ თქვა, რომ ირანის ბირთვული პროგრამა მშვიდობიანი ხასიათისაა და ის გაგრძელდება. მან დასძინა, რომ ყველაფერს გააკეთებს ძველი უთანხმოებების მოსაგვარებლად, თუმცა ისიც აღნიშნა, რომ ამერიკას ირანში მიმდინარე პროცესებზე სწორი წარმოდეგნა არა აქვს.

აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაციამ მოლაპარაკებების განახლებისთვის მზადყოფნა როუჰანის ინაუგურაციისთანავე გამოთქვა და ჩვენ ამაზე უკვე ვწერდით. როუჰანიმ მსგავსი მინიშნებები საინაუგურაციო სიტყვაშიც გააკეთა. გუშინ მლაპარაკებების განახლებას რუსეთიც მიესალმა, კერძოდ საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი ლავროვი. აშშ-ც და რუსეთიც წამყვანი სახელმწიფოების იმ „ექვსეულში“ შედიან, რომელიც ბირთვული პროგრამის გარშემო ირანთან მოლაპარაკებას აწარმოებს.

## ჯორჯ ბუშ-უმცროსს სტენტირება ჩაუტარდა

აშშ-ს ყოფილ პრეზიდენტ ჯორჯ ბუშ უმცროსს სამშაბათს სტენტირება ჩაუტარდა. მას არტერიის შევიწროება ორშაბათს, გეგმიური სამედიცინო შემოწმების დროს აღმოუჩინეს და სამშაბათს უკვე სტენტი ჩაუდგეს. ექს-პრეზიდენტის პრესმდივან ფრედი ფორდის სიტყვებით, ჯორჯ ბუში კარგ ხასიათზეა. მან საავადმყოფო ოთხშაბათსვე დატოვა და დღეიდან, ხუთშაბათიდან, მუშაობის ჩვეული გრაფიკით განახლებას გეგმავს. ბუშმა ყველას მოუწოდა, საკუთარი ჯანმრთელობა რეგულარულად შეამოწმონ. ჯორჯ ბუში უმცროსი პრეზიდენტი იყო 2001-2009 წლებში, მანამდე იყო ტეხასის გუბერნატორი. საპრეზიდენტო ვადის დამთავრების შემდეგ ის საზოგადოებრივ ცხოვრებაში თითქმის აღარ მონაწილეობს.

## ავღანელი თალიბები ხელისუფლებისთვის ბრძოლას არ აპირებენ

ავღანელი თალიბების ლიდერმა, მოლა მოჰამედ ომარმა განაცხადა, რომ მოძრაობა ბრძოლას მანამდე გააგრძელებს, სანამ ბოლო უცხოელი ჯარისკაცი არ დატოვებს ავღანეთს და დასძინა, რომ მოძრაობა 2014 წელს დაგეგმილ საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობას არ აპირებს. მისი განცხადება «თალიბანის» ოფიციალურმა წარმომადგენელმა ზაბიხულა მოჯაჰედმა გაავრცელა. მოლა ომარი საზოგადოების წინაშე 2001 წლიდან აღარ გამოჩენილა - მას შემდეგ, რაც 11 სექტემბრის თავდასხმის საპასუხოდ აშშ-მ ავღანეთში ჯარები შეიყვანა. მაგრამ ყოველ წელს ავრცელებს განცხადებას რამადანის დამთავრებისა და დღესასწაულების დაწყების წინ. ვარაუდობენ, რომ ის მეზობელ პაკისტანში იმალება. მისი თავი 10 მილიონ დოლარად არის შეფასებული.

თალიბები არჩევნებში არც აქამდე მონაწილეობდნენ, მაგრამ ამის შესახებ ოფიციალურად პირველად განაცხადეს. აქამდე ისინი ხალხს ბოიკოტისკენ მოუწოდებდნენ, გზებს კეტავდნენ და კანდიდატებს ხოცავდნენ.

მოლა ომარის განცხადების თანახმად, რეალური არჩევნები ვაშინგტონში მიმდინარეობს და მასში მონაწილეობა დროის უბრალო კარგვაა. თალიბანის ლიდერი აცხადებს, რომ არ შეეცდება ძალით ხელისუფლების ხელში ჩაგდებას საერთაშორისო კონტიგენტის გასვლისთანავე. «თალიბანი», მისი ლიდერის სიტყვებით, შეეცდება, საერთო ენა გამონახოს ავღანელ ხალხთან, რათა შეიქმნას მთავრობა, რომელიც თავის თავში გააერთიანებს ყველა პოლიტიკურ ძალას და ისლამის პრინციპებზე იქნება დაფუძნებული.

## ბრედლი მენინგს მაქსიმალური პატიმრობა 90 წლამდე შეუმცირეს

მაქსიმალური ვადა, რომელიც შეიძლება, ბრედლი მენინგს მიუსაჯონ, 136 წლიდან 90 წლამდე შემცირდა. ასეთი გადაწყვეტილება სამხედრო მოსამართლემ, პოლკოვნიკმა დენიზ ლინდმა მიიღო, რომელსაც პროცესი მიჰყავს. მან გაიზიარა ადვოკატების რიგი შენიშვნები, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ბრალდების მხარემ „ნაწილებად დაშალა“ შპიონაჟის ბრალდება და ხელოვნურად გაზარდა მუხლები, რომლის თანახმადაც შეიძლებოდა, მენინგისთვის 136 წელი მიესაჯათ. მოსამართლემ განაცხადა, რომ მენინგს რამდენიმე ბრალდება წაყენებული ჰქონდა ერთი და იმავე ქმედებისთვის. შესაბამისად, „ზედმეტი“ მუხლები ამოიღეს, რათა „თავიდან აეცილებინათ ბრალდების გამრავლება“. ბრალდების ნაწილს მენინგი და მისი ადვოკატები თავიდანვე აღიარებდნენ. სამხედრო ანალიტიკოსმა, რიგითმა ბრედლი მენინგმა სკანდალურად ცნობილ საიტ „ვიკილიკსს“ 700 ათასზე მეტი სამხედრო და დიპლომატიური საიდუმლო დოკუმენტი გადასცა, რომელთა გამოქვეყნებამაც 2009 წელს საერთაშორისო სკანდალი გამოიწვია.

***მოამზადა ივა შილაკაძემ***

# ამერიკაში ფორტ-ჰუდის სასაკლაოში დამნაშავის სასამართლო დაიწყო



ტეხასის შტატში მდებარ ფორტ-ჰუდის სამხედრო ბაზაზე სამშაბათს დაიწყო სამხედრო ფსიქიატრის, 42 წლის მაიორ ნიდალ მალიქ ჰასანის სასამართლო პროცესი. მას ბრალდება 13 ადამიანის განზრახ მკვლელობა და 32 ადამიანის მკვლელობის მცდელობა. ის დანაშაულს აღიარებს და აცხადებს, რომ თავისი მოქმედებებით მოძრაობა „თალიბანს“ და ავღანეთში მუსლიმანებს იცავდა.

მან დანაშაული ამავე ბაზაზე 2009 წლის 5 ნოემბერს ჩაიდინა. მაიორმა მალიქ ჰასანმა საკუთარივე ბაზის სამედრო მოსამსახურეებს ცეცხლი ორი პისტოლეტიდან გაუხსნა და დაახლოებით, 7 წუთში 100-ზე მეტჯერ გაისროლა. მხოლოდ ამის შემდეგ მოხვდა მას სერჟანტ მარკ ტოდის გასროლილი ტყვია, რამაც მისი წელსქვევით პარალიზებაც გამოიწვია.

მაიორ ნიდალ მალიქ ჰასანის განცხადებით, მტკიცებულებები ნამდვილად აჩვენებს, რომ ის ისროდა. თუმცა მან შესაძლო შეცდომებისთვის ბოდიში მოიხადა და თქვა, რომ „ისინი (ალბათ იგულისხმება თვით მაიორი და მისნაირი «მოჯაჰედები») არასრულყოფილი მუსლიმანები არიან, რომლებიც ცდილობენ, დაამყარონ სრულყოფილი რელიგია“.

ისევე როგორც რიგითი ბრედლი მენინგის შემთხვევაში, რომელიც წინა კვირაში ცნეს დამნაშავედ სამხედრო საიდუმლოების გაცემაში, ჰასანის პროცესზეც თავმჯდომარე ქალი იქნება - პოლკოვნიკი ტარა ოსბორნი. თუმცა მენინგმა მოითხოვა, რომ ის ერთ მოსამართლეს გაესამართლებინა, მაიორ ჰასანს კი 13 ადამიანისგან შემდგარი ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გაასამართლებს - 9 პოლკოვნიკი, სამი ვიცე-პოლკოვნიკი და ერთი მაიორი. მათ გადაწყვეტილება ერთხმად უნდა მიიღონ. მათ შორის ორი ქალია და ერთ-ერთი მათგანი - ტარა ოსბორნი - თავმჯდომარეა. ნაფიც მსაჯულთა ვინაობა უსაფრთხოების მიზნით არ გამოქვეყნებულა.

უსაფრთხოებისთვის მიღებულია განსაკუთრებული ზომები. შენობა კარგად არის დაცული და გარშემორტყმულია ქვიშის ტომრებით გაკეთებული 4,5 მეტრის სიმაღლის კედლით. ყველგან შეიარაღებული დაცვა დგას და განსასჯელს დარბაზში ახლოს მდებარე ციხიდან ყოველდღე ვერტმფრენით მიიყვანენ. ამ პროცესზე პენტაგონმა უკვე 5 მილიონი დახარჯა და საბოლოოდ გაცილებით უფრო ძვირი დაჯდება. ტარა ოსბორნი აცხადებს, რომ სასამართლო სხდომების გაწელვას არ აპირებს და ალბათ პროცესი ერთი-ორი თვე გაგრძელდება. უნდა გამოიძახონ თითქმის 300 მოწმე და მათგან დღეში ალბათ 10-14-ს მოუსმენენ.

პროცესს რამდენიმე განსაკუთრებული მომენტი ახლავს. განსასჯელი ფეხზე არ იდგება, არამედ იჯდება, რადგან სავარძელს არის მიჯაჭვული. მას ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო ხშირად მიეცემა დასვენების საშუალება. ნიდალ მალიქ ჰასანმა წვერიც მოუშვა. სასამართლო მას გაპარსვას მოითხოვდა, რადგან არმიის წესდებით, სამხედრო მოსამსახურეს არ შეიძლება, წვერი ჰქონდეს, თუმცა ჰასანმა ალმსარებლობის თავისუფლებაზე დაყრდნობით მიიღო წვერის ტარების უფლება. ის თავს თვითონ დაიცავს, მაიორმა ჰასანმა უკვე ადვოკატთა ორი გუნდი დაითხოვა. თუმცა კანონის შესაბამისად, მოსამართლემ ბრალდებულის გვერდზე პროფესიონალი ადვოკატები დასვა, რომლებსაც ჰასანმა შეიძლება, საჭიროებისას რჩევა ჰკითხოს.

სამშაბათსვე მოუსმინეს 46 წლის უფროს სერჟანტა ალონსო ლანსფორდს, რომელიც იმ დღეს ჯარისკაცებს აცრას უტარებდა. მან გამოძიებისთვის მიცემულ ჩვენებაში განაცხადა, რომ მაიორმა ჰასანმა უცებ დაიყვირა „ალაჰ აკბარ“ და სროლა დაიწყო. თვით ლანსფორდს თავდაპირველად 7 ტყვია მოხვდა - ერთი თავში და ექვსი სხეულზე. მან თავი მოიმკვდარუნა და შემდეგ გაქცევა სცადა, თუმცა ჰასანი გამოეკიდა და მერვე ტყვია ზურგშიც მიაყოლა. ეს ტყვია მას ისევ სხეულში აქვს, რადგან სამხედრო მეთაურობა ტყვიის ამოღების ოპერაციის დაფინანსებაზე უარს აცხადებს.

ეს საერთოდ ცალკე თემაა და ჩვენ მას პროცესის მიმდინარეობისას აუცილებლად დავუბრუნდებით. მომხდარი სახელმწიფოს მიერ კვალიფიცირებულია, როგორც უბედური შემთხვევა სამუშაო ადგილზე და არა ტერაქტი. ეს კი რაც საზოგადოების და დაზარალებულების უკმაყოფილებას იწვევს. 148 დაზარალებული და მათი ახლობლები სახელმწიფოს უჩივიან და კვალიფიკაციის შეცვლას მოითხოვენ. ეს მარტო ტერმინოლოგიის საკითხი არ არის. უბედური შემთხვევისას სამხედროები უფასო მკურნალობის უფლებას და საბრძოლო ჭრილობისთვის მედალს არ იღებენ.

საერთოდ ირკვევა, რომ სპეცსამსახურებმა მაიორ ჰასანის ჯიჰადისტური მიდრეკილებების შესახებ იცოდნენ და პენტაგონი დროულად არ ჩააყენეს საქმის კურსში. ამას გარდა, ის, თურმე, ცუდი ექიმი იყო, რომლის ჯარისკაცებთან მიშვება მიზანშეწონილი არ იყო, მაგრამ მას დადებით დახასიათებას მაინც აძლევდნენ და „პოლიტკორექტულობის“ გამო აწინაურებდნენ.

***„ბი-ბი-სის“ მიხედვით***
***მოამზადა ივა შილაკაძემ***

# ობამა პეტერბურგში ჩავა, მოსკოვში არა

პირველი გვერდიდან

ინტერვიუში პრეზიდენტმა ასევე ილაპარაკა მოსმენების სკანდალსა და რუსეთთან ურთიერთობის პრობლემებზე. თავისთავად, სნოუდენის თემა მთელ მსოფლიოში ისევ აქტუალურია და ოფიციალური პირები თუ მიმომხილველები კვლავ ეხმაურებიან.

რუსეთის მიერ სნოუდენის შეფარების შემდეგ ეს პირველი შემთხვევაა, როცა ობამა ამ საკითხს პირადად შეეხო. აქამდე, ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე, მან „ცხელ კვალზე“ კომენტარის გაკეთება არ ისურვა და ჟურნალისტებს დაემშვიდობა. სნოუდენის შეფარების შემდეგ თეთრი სახლის ოფიციალურმა წარმომადგენელმა ჯეი კარნიმ განაცხადა, რომ აშშ-ს პრეზიდენტის ადმინისტრაცია და სახელწიფო დეპარტამენტი ფიქრობენ, რამდენად მიზანშეწონილია ამ სიტუაციაში მოსკოვში ორმხრივი შეხვედრა. მაშინ არაორაზროვნად გაკეთდა მინიშნება, რომ ოფიციალური ვაშინგტონი ამ შეხვედრის გაუქმებისკენ იხრება. თეთრი სახლის წარმომადგენელმა მაშინ აღნიშნა, რომ უთანხმოება მხოლოდ სნოუდენის გარშემო არ არის, საკმაოდ პრობლემურია ორ სახელმწიფოს შორის სირიის თემაც. გუშინ, როგორც აღვნიშნეთ, ეს უკვე ოფიციალურადაც დაადასტურეს. თან მოსკოვში ვიზიტის გაუქმების შესახებ ობამამ პუტინს პირადად არ აცნობა, ეს ოფიციალური განცხადების და, ცხადია, დიპლომატიური არხების მეშვეობით გაკეთდა.

აშშ-ს პრეზიდენტის ამ ბოლო გადაწყვეტილების გამო იმედგაცრუება არ დამალა კრემლმა. რუსეთის პრეზიდენტის თანაშემწემ იური უშაკოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ «აშშ კვლავ არ არის მზად, ააწყოს ურთიერთობები თანასწორუფლებიანობის საფუძველზე.»

ბარაკ ობამამ ინტერვიუში თქვა, რომ რუსეთის ხელისუფლება პერიოდულად წარსულში ბრუნდება და ცივი ომის კატეგორიებით იწყებს აზროვნებას. „მე ვეუბნები პრეზიდენტ პუტინს, რომ ეს ყველაფერი წარსულში დარჩა და ჩვენ მომავალზე უნდა ვიფიქროთ. არ არსებობს მიზეზები, რომელთა გამოც ჩვენ ვერ შევძლებთ უფრო ეფექტურად თანამშრომლობას, ვიდრე ახლა.“ ამას გარდა, ობამამ თქვა, რომ აშშ და რუსეთი კვლავ აქტიურად თანამშრომლობენ ავღანეთის მიმართულებით და ბოსტონის ტერაქტის გამოძიების საკითხში. ანუ ეს ის თემებია, რომლებშიც ორივე სუპერსახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთს თითქმის ემთხვევა.

აშშ-ს პრეზიდენტის სიტყვებით, სახელმწიფოს, სინამდვილეში, არ აქვს აშშ-ს მოქალაქეთა კერძო სატელეფონო საუბრების შინაარსის საყოველთაო მოსმენის და ელექტრონული მიმოწერის კითხვის პროგრამა, რის შესახებაც საუბრობს გაქცეული და დევნილი აგენტი სნოუდენი. **„ჩვენ გვაქვს რიგი მექანიზმები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს, თვალი მივადევნოთ საუბარს ან ელექტრონულ მისამართს, თუ ვიცით, რომ ის რაღაცნაირად დაკავშირებულია ტერორისტულ საფრთხესთან,“** - განაცხადა ბარაკ ობამამ.

მანამდე აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტმა გაავრცელა განსხადება, რომ პარასკევს გეგმის მიხედვით შედგება შეხვედრა მაღალ დონეზე ამერიკისა და რუსეთის წარმომადენლებს შორის. კერძოდ, სახელმწიფო მდივანი ჯონ კერი და თავდაცვის მინისტრი ჩაკ ჰეიგელი ვაშინგტონში გამართავენ მოლაპარაკებებს თავიანთ რუს კოლეგებთან - საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი ლავროვთან და თავდაცვის მინისტრ სერგეი შოიგუსთან. ისინი ისაუბრებენ ორმხრივი ურთიერთობის გადაუდებელ საკითხებზე და მწვავე საერთაშორისო პრობლემებზე, როგორებიც არის სირიის კრიზისი და ირანის ბირთვული პროგრამა. სახელმწიფო დეპარტამენტის განცხადებაში ნათქვამია ისიც, რომ შეხვედრაზე სნოუდენის ბედსაც განიხილავენ.

თვით სნოუდენის პრობლემაზე ჩვენ აქ ვრცლად აღარ შევჩერდებით, რადგან „24 საათი“ თითქმის ორი თვეა, ამ თემას დეტალურად აშუქებს. დღეისთვის ახალია მხოლოდ ის, რომ სნოუდენი რუსეთში კონკრეტულ მისამართზე დარეგისტრირდა, თუმცა მისი ადგილსამყოფელი არ ხმაურდება. ამის შესახებ დევნილი აგენტის მოხალისე რუსმა ადვოკატმა ანატოლი კუჩერენამ განაცხადა. მან აგრეთვე თქვა, რომ სნოუდენის მამა, ლონ სნოუდენი (შესაძლოა, მისი ოჯახის სხვა წევრებიც) რუსეთის ვიზას ელოდება, რათა შვილის მოსანახულებლად ჩავიდეს. კუჩერენას სიტყვებით, ედუარდ სნოუდენსაც სჭირდება მამის აზრის მოსმენა შემდგომი მოქმედებების შესახებ. თავის მხრივ, ლონ სნოუდენის ინტერესების დამცველმა ადვოკატმა მატი ფეინმაც განაცხადა, რომ მათ ჯერ ზუსტად არ იციან ლონ სნოუდენის რუსეთში ჩასვლის თარიღი, თუმცა ამ თარიღის შესათანხმებლად აქტიურად მუშაობენ ანატოლი კუჩერენასთან. ვიზიტი, სავარაუდოდ, აგვისტოშივე შედგება.

6 აგვისტოს სნოუდენის საკითხზე და მოსმენების სკანდალზე ეკვადორის საგარეო საქმეთა მინისტრმა რიკარდო პატინიომ გაეროს უშიშროების საბჭოში გამოსვლისას ილაპარაკა და აშშ-ს პოზიცია მკაცრად გააკრიტიკა. პატინიოს სიტყვებით, აშშ საკუთარი სახელმწიფო უსაფრთხოების ინტერესებს საყოველთაოდ მიღებულ მორალურ პრინციპებზე მაღლა აყენებს და არავითარ ჩარჩოებს არ ცნობს, არადა ეს ჩარჩოები არსებობს. ეკვადორის საგარეო საქმეთა მინისტრმა განაცხადა, რომ მოსმენების პროგრამა შეიძლება არსებობდეს, მაგრამ ის ადამიანის უფლებებსა არ უნდა ეხებოდეს და სხვა სახელმწიფოების ინტერესებს არ უნდა ლახავდეს. ამას გარდა, პატინიოს აზრით, მიუღებელია აშშ-ს სწრაფვა, ნებისმიერი საშუალებით მიაღწიოს სნოუდენის ექსტრადიციას. მისი თქმით, საკითხი, იმსახურებს თუ არა რომელიმე პირი თავშესაფარს, მხოლოდ იმ სახელმწიფოს გადასაწყვეტია, რომელიც ამ თავშესაფარს ანიჭებს და არა იმ სახელმწიფოსი, ვისგანაც პირი გარბის.

# ფემინისტი მხატვრები აშშ-დან

პირველი გვერდიდან



ამგვარი გალერეის შექმნა მძლავრი მაგალითი იყო იმისა, რომ ქალებს ამერიკის სხვა შტატებშიც სპეციალიზირებული საგამოფენო დარბაზები დაეარსებიანთ, რომლის მიზანი იქნებოდა არა მარტო ქალთა ხელოვნების წარმოჩენა, არამედ ხელოვანი ქალებისთვის ლექციების, სიმპოზიუმების, სადისკუსიო სივრცეების, სტაჟირების თუ მოხალისეობის, სასტიპენდიო პროგრამების შეთავაზება. A.I.R., ფაქტობრივად, ამერიკის პირველი გალერეაა, რომელიც ფემინისტურ არტს მიეძღვნა და, შესაძლებელია, მსოფლიოში პირველიც. მისი დამაარსებლები არიან ქალი მხატვრები და ხელოვნებათმცოდნეები, გამომსახველობის თემატიკა კი ძალიან ფართეა: ზოგადად თანამედროვე სამხატვრო ეკლექტური ფერწერული ენიდან ვიდრე სპეციფიურამდე თუ კონცეპტუალურამდე - ქალის რეპროდუქციული უფლებებისა და მესამე სამყაროს ქალთა პრობლემების ერთობლიობის გამოხატვამდე.

ზაფხულის დასაწყისში A.I.R.-ში სამი მხატვრის ძალიან საინტერესო ნამუშევრები გამოიფინა. ნენსი ლეზარის ნახატები ტილოზე გადატანილი მოძრავი ენერგიული და ფერადი სითხეებია. მხატვარი ცდილობას ამ ფერადოვან ხაზებში დროის მიმდინარეობაც მოათავსოს, როგორც სიზმარი ან მეხსიერება, როცა რამდენიმე რეალობა ერთმანეთს გადაჰკვეთს, ერწყმის და მერე ერთმანეთს შორდება. ზოგიერთი ნახატი კონტრასტული ფერების ხაზებია, ზოგიერთი კი - მძიმე წყალში სხვადასხვა ფერისა და სიბლანტის მელნის ჩაღვრილ წვეთებსა და ჭავლებს ჰგავს. კრიტიკოსებმა მის ნამუშევრებს სინათლით დახატულები", მშვიდი და მშფოთვარე", ორგანიზებული ქაოსი" უწოდეს და ამიტომაც ფემინისტური ხელოვნების გალერეაში გამოფენილ ლეზარის ნახატების ექსპოზიციასაც ასე დაერქვა - სინათლის ხაზები". გალერეაში გამოფენილი ნახატები ხელოვანის 40 წლიანი შემოქმედების ერთგვარი კოლექციაა, თითქოს იგი ერთდროულად სივრცის გაცოცხლებასაც და გაშეშებსასაც ცდილბს. მისი პორტრეტები შიშველი გრაფიკა, ხაზის საოცარი გრძნობაა, სადაც თვალთან მოწყენილი ყაყაჩო შეიძლება გამოჩნდეს ანდა სახეზე აბურდულ თმებში ადამიანის სხეულის კონტურები; მის საღებავების ქაოსში კი - სამკუთხა დროშები, თვალები, შუბლზე ნაოჭები, ადამიანისა თუ ცხოველების მოძრაობა. ყველაზე საოცარი ისაა, როცა არ იცი რას ხატავს, შედეგად კი ილებ აბსტრაქტულისა და ლირიულობის ნაზავს, რომელსაც იმ წერტილამდე მიჰყავხარ, სადამდეც გონება მიგიშვებს" - ამბობს მხატვარი.

შვედი ხელოვანი ანიკა ერიქსენის კომპოზიცია ვირჯინია ვულფის მოთხრობის საკუთარი ოთახის" სეხნიაა, ხოლო შთაგონების წყარო ვულფის კრეატიულობის პირობების: თავისუფლების, ფულისა და საკუთარი ოთახის გარდა, აინშტაინის ფარდობითობის თეორიაც. ფიზიკაში აინშტაინის კონცეპტი დროისა და სივრცის განცალკავებულობას აქრობს და დროისგანზომილებიან უნივერსში ისეთი სივრცე იქმნება, სადაც ყველაფერი შეიძლება მოხდეს. პროფესიით ხელოვნების ისტორიკოსი ანიკა ერიქსენი ბავშვის ფსიქოლოგიით, არტთერაპიით, პედაგოგიკით დაინტერესდა და ეს სასაწავლო კურსები შვედეთის სხვადასხვა უნივერსიტეტებში გაიარა. შეიძლება ითქვას, რომ მისი ხელოვნება, როგორც თავად ამბობს, მოწყვლად ადამიანებთან ურთიერთობით იქმნება. ანიკა ცდილობს ნაცნობთა წრე გააფართოვოს, უფრო სწორედ, ნაცნობთა წრე სხვადასხვა პროფესიის ადამიანებით გაამდიდროს, რაც, ანიკას აზრით, მის ხელოვნებას უფრო ეგზისტენციალურ დატვირთვას მისცემს. როცა მან აკვარელითა და ტუშით დაიწყო ხატვა, მან ქალები დახატა - ის ქალები, რომლებმაც მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშეს.

A.I.R. გალარეის კედელზე გამოიფინა ანიკა ერიქსენის მიერ დახატული 75 ქალის ჩვენსკენ ზურგით შებრუნებული თავი, თითქოს ეს ადამიანები ჩვენგან სადღაც შორს მიდიან. ანიკამ ამ პროქტს ყუთი.75" დაარქვა. ეს მისი ცხოვრების, როგორც თავად უწოდებს როლური მოდელები" არიან: პოლიტიტიკური აქტივსტი, არქიტექტორი, სტუდენტი, მომღერალი, მწერალი..... დაბაზის ერთ - ერთ კუთხეში 75 დანომრილი მუყაოს თეთრი ყუთი დგას, რომლებშიც ამ შებრუნებულ თავებიანი ქალების პორტრეტებია, ხოლო მათი ვინაობა ნუმერაციის მიხედვით იქვე ჟურნალშია მოცემული. ნებისმიერ მსურველს შეიძლია იყიდოს/"იშვილოს" ყუთი და სახლში წაღებით მას ანუ ყუთში მოთავსებულ ქალს საკუთარი ოთახი"/ საკუთარი სივრცე" აჩუქოს. თითო ყუთი 75 დოლარი ღირს. გადახდილი თანხა კი სრულად ანიკას მშბლიურ ქალაქ გივლეში არსებულ ქალთა თავსაფარს გადაეცემა, უფრო სწორედ იმ მოხალისეებს, რომლებიც ამ თავშესაფარს ემსახურებიან. შემოდგომაზე კი ანიკა თავად აპირებს ქალთა თავშსაფრის პროექტში ჩაბმას. მხატვარმა ასევე დატოვა თავისი ემეილი", რათა მსურველებმა, რომლებსაც უნდათ ამ პროექტის განვითარების შესახებ გაიგონ, თავად ანიკა ერიქსენისგან შეიტყონ.

A.I.R. - ის გამოფენის სახელწოდებით ბრჭყვიალა წერტილი" ავტორი შანტი გრუმბინი უჩვეულო ხელოვანია, რომელმაც თავისი ექსპოზიციის სახელწოდება IXX საუკუნის პოლიტიკურ-პროპაგანდისტულ ტერმინს Glittering Generalities -ს (ბრჭყვიალა ერთობა/ ბუნდოვანება) დაუკავშირა. ეს ცნება არა ინფორმაციის მატარებელს, არამედ პოზიტიური კლიშეების, გრძნობების ალმძვრელ ხატებსა და ემოციებს უკავშირდება; იმ სიტყვებს და ცნებებს, რომლებიც ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს მოიცავს. მხატვრის ნამუშევრების ფორმალური საფუძველი კი გახლავთ გაზეთი ნიუ იორკ თაიმსის" ფურცლები, რომელსაც მხატვარი კონცეპტუალური მასალისთვის იყენებს. გაზეთის ფურცლის გადიდებულ ფორმატზე შანტი გრუმბინი სიტყვებს შლის, აჯგუფებს, ფორმას აძლევს და მათ ერთგვარ რითმში აქცევს. ასევე იყენებს ახალ მედიურ ილეთებს" - კომპაქტ დისკებს, კომპიუტერულ ატრიბუტიკის ნატეხებს, ასევე სარკეებს, ბრჭყვიალა საგნებს, მინას და დაქუცმაცებულ ნაჭრებს, ფორმად კი - მინიმალისტურ ბადეს. წინა ხედზე იხატება ომის, პოლიტიკური კამპანიებისა და ფუფუნების საგნების იმიჯები. მისი ნამუშევრები ჩვენს გონებასა და გრძნობებზე ყოველდღიური მედიის იმ ალქიმიური ზემოქმედებას გამოხატავს, რომელიც მანიპულირებს ჩვენით და ფანტასმაგორიულ ფორმებს აღწევს. შანტი გრუმბინის გამოფენა სამ სხვადასხვა პროექტად მიმდინარეობას. კენოზისი" (ძველბერძნულიდან სიცარიელესა" და დაცლას" ნიშნავს), ხელმისაწვდომობა" და ინ (ინგლისურად - In არის ბოლოსართი ში") ფორმაცია". ხელოვანი მედიის ფანტომს ტექსტისა და გამოსახულების წაშლისა და სიბრტყეზე გადანაწილების გზით გვიხატავს და ერთგვარად პოეტურად იყენებს წაშლილის ანუ უკვე არარსებულის პირველყოფილ ძალას. მისი კომპოზიციები იმ ადამიანებსაც ჰგავს, რომლებიც ლუვრში 1911 წელს მოპარული მონა ლიზას ცარიელი ადგილის სანახავად რიგში იდგნენ, ერთმა მნახველმა კი არარსებულ შედევრთან ყვავილების თაიგულიც კი დადო.

დღეს ბევრი მხატვარი მუშაობს მასმედიის სიმბოლოებითა და იმიჯებით და ცდილობს აჩვენოს იმ ღრმა, პრემორბიდული გავლენის ხატი, რომელითაც მედია - მანიპულატორი ჩვენი დესენსიბილიზაციით ქვეცნობიერსა და ცნობიერზე ბატონობს. მხატვარი ამ გავლენის ჰიპერბოლიზაციას ახდენს. ერთ-ერთი ნამუშევარი ორფეოსის მზერა" გაზეთ NY Times - ის იმ ფოტოების გადიდებული, 2555 ცალი კვადრატული ფორმის პიკსელებისგან" შედგება, რომლებიც საშინელ კადრებს ასახავს: ავღანეთში მომლოცველობის დროს პაკისტანელმა სუნიტებმა შიიტი მორწმუნეები ააფეთქეს. კომპოზიციის ცენტრში რელიეფი წინ გამოწეულია, თითქოს სივრცის გარღვევა უნდა და ამ გზით ჩვენთან მიახლოება. მასზე გამოსახულია მწვანედ შემოსილი სასოწარკვეთისაგან აკივლებული ქალი, რომელიც ჩვენი სამყაროს ტექსტურაში" ინტეგრირდების ილუზიას ქმნის. მხატვარს ამ ტრაგედიაში დოკუმენტალური ფოტოგრაფიის ენის ტრანსფორმაციით თავისი ორიგინალური ენა შემოაქვს: ქალის სილუეტი იშლება, ნაწევრდება, თითქოს მისსავე სასოწარკვეთაში ისიც მარტივ მამრავლებად" იფლითება; მის მწვანე კაბას შავი ფერის შემადგენელი პატარა კვადრატები აკრავს, რაც სიკვდილს კიდევ უფრო მუქსა და დეპრესიულს ხდის. შანტი გრუმბინის ერთგვარი კრედოა ვერნერ ჰერცოგის სიტყვები: რა გავაკეთეთ ჩვენ ჩვენი ხატებისთვის"... როგორც თავად მხატვარი ამბობს, მისი შთაგონების წყაროა ამ ხატებით თხრობის ისტორიული ტრადიცია, რომელიც მოიცავს მონუსკრიპტებს, ვიტრაჟებს, ბიოლოგიური ფორმებისა და შინაგანი სივრცის ურთიერთმიმართებას, როცა საკომუნიკაციო ენა ტექსტად გადრაიქმნება, ისევე როგორც ტექნიკური შრიფტი - საგაზეთო ნიუსად". მხატვრისთვის კენოზისის გამოსახვა არის მის მიერვე ამ სამყაროსგან გაუცხოვების, სიცარიელის განცდის დაძლევა და იმ მულტიმედიურ გზავნილად გადაქცევა, სადაც საგაზეთი შაბლონები შემოქმედებითი ახალ ამბებია" და ვიბრირებად მელოდიებს უფრო ჰგავანან, ვიდრე შავი პოლიგრაფიული საღებავის ანაბეჭდებს.

***ია მერკვილაძე,***
***ნიუ იორკი, აშშ***

# „ეს თვალების ამხელი ინტერვიუ უნდა ყოფილიყო“

პირველი გვერდიდან

**დატოვა შთაბეჭდილება ადამიანისა, რომელსაც, ბუნებრივია, სურს თავისი ქვეყნის აყვავება და აღორძინება, რომელსაც გააჩნია საკუთარი პოლიტიკური ორიენტირები და პრიორიტეტები, მაგრამ ესმის, რომ უნდა დაალაგოს ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან, რომელსაც, თავის მხრივ, ესმის, რა მძიმე მემკვიდრეობა ერგო მას წინა პოლიტიკოსებისგან. მემკვიდრეობა, რომლის ნიადაგზე დიდწილად დაინგრა პირდაპირი კომუნიკაციები რუსეთის ფედერაციასთან. მაგრამ ჩვენ მაინც ასე ახლობელი ხალხები და ახლობელი ქვეყნები ვართ,“** - აცხადებს მედვედევი.

მისივე განმარტებით, რა კონფლიქტებიც არ უნდა ყოფილიყო, მთავარი, რაც ჩვენი ქვეყნების ხალხებს აკავშირებს, არ დაკარგულა.

**„ეს არის ურთიერთსიმპათია და მშვიდად ცხოვრების სურვილი. სურვილი, რომ განვითარდეს ის, რაც ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს და ამ თვალსაზრისით ქართველ და რუს ხალხებს შორის არანაირი კონფლიქტი არ არის. ჩვენ უნდა გვქონდეს თბილი და კეთილმეზობლური ურთიერთობა, ამის დიდი იმედი მაქვს,“** - აღნიშნავს რუსეთის პრემიერ-მინისტრი.

თუმცა მიუხედავად **„ურთიერთსიმპათიის, თბილი და კეთილმეზობლური ურთიერთობის სურვილისა“**, მედვედევი მიიჩნევს, რომ ყველა ის გადაწყვეტილება, რაც მან 2008 წელს პრეზიდენტის რანგში მიიღო, სწორი იყო და დღესაც ანალოგიურად მოიქცეოდა.

**„მიმაჩნია, რომ იძულებულნი ვიყავით, ამგვარად გვეპასუხა შესაბამის აგრესიულ ქმედებებზე, რომლებიც მაშინ ქართულმა შეიარაღებულმა ძალებმა განახორციელეს. მოვლენების ყველა შემდგომი განვითარებაც წინასწარ იყო განსაზღვრული სწორედ ამ ფაქტით - მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის და ვითარებაში ჩარევის აუცილებლობის ფაქტით. ამიტომ, თუ მეკითხებით იმის შესახებ, ასეთ სიტუაციაში ანალოგიურად მოვიქცეოდი თუ არა, ჩემი პასუხია - დიახ,** - განაცხადა მედვედევმა.

ამასთან, რუსეთის პრემიერ-მინისტრი საქართველოს შეიარაღებულ ძალებს რუსი სამშვიდობოების დაცხრილვაშიც ადანაშაულებს.

**„საქართველოს შეიარაღებული ძალების ცხინვალში შეჭრა და რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების დახოცვა - ეს არის რეალური მიზეზი. სხვა დანარჩენი შეიძლება, შედეგი იყოს, შეიძლება, რაღაც პროექცია იყოს, მაგრამ უშუალო მიზეზი თავდაცვა იყო. და მე ამაში დღემდე მყარად ვარ დარწმუნებული. რომ არ მომხდარიყო ის, რაც მოხდა და არ დახოცილიყვნენ სამშვიდობოები და რუსეთის მოქალაქეები, რომლებიც იმ მომენტში სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ ან იმყოფებოდნენ, არანაირი სამხედრო კონფლიქტი არ მოხდებოდა. ეს სრულიად ნათელია. იმის კვალობაზეც კი, რომ იქ იყო დაძაბულობა, რაღაც გამოხდომები, პერიოდულად შესაძლოა, კონფლიქტებიც კი, ჩვენ მაინც ვახერხებდით დაშოშმინებას და, საერთო ჯამში, ნორმალურ ურთიერთობებს. იცით, რამ შემძრა მაშინ, რადგან ამაზე ვსაუბრობთ? სამწუხაროდ, მომახსენეს, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების ის ფორმირებები, რომლებიც სამშვიდობო კონტინგენტის შემადგენლობაში შედიოდნენ, ფაქტობრივად, რუსი სამშვიდობოების დაცხრილვაში მონაწილეობდნენ. ეს უკვე ყველა საზღვარს სცილდება! ეს, სამწუხაროდ, არა, უბრალოდ, დანაშაულია, ეს ყველა საერთაშორისო ნორმის ცინიკურად ფეხქვეშ გათელვაა! სწორედ ეს იყო პირდაპირი და მთავარი საბაბი,“** - აცხადებს რუსეთის პრემიერ-მინისტრი.

რაც შეეხება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას, მისი თქმით, მას ხელი მოეწერა საფრანგეთის პრეზიდენტ ნიკოლა სარკოზისთან ერთად და **„ამა თუ იმ ფორმით დაეთანხმა საქართველოს ხელმძღვანელობა“.**

**„მისი ნამდვილი შინაარსი ვიცით მხოლოდ ჩვენ და არა მათ, ვინც ამ დოკუმენტზე შემდგომ განმარტებებს აკეთებდა. ამიტომ, რუსეთის მხრის პოზიციაა: ჩვენი განზრახვების შინაარსი სრულიად შეესაბამება იმ ტექსტს, რომელიც არსებობს. არაერთხელ მითქვამს, რომ ჩვენ იოტისოდენადაც არ გადაგვიხვევია ე.წ. მედვედევი-სარკოზის გეგმიდან. ჩვენ გამოვიყვანეთ ჯარები და შევეცადეთ, ეს სიტუაცია დაგვეწყნარებინა. იქ ცოტა სხვაგვარადაა ნათქვამი, თუმცა ჩვენ გამოვდივართ იქიდან, რომ გამოვიყვანეთ ჩვენი ჯარები ომამდელ პოზიციებზე, მათ დატოვეს საქართველოს ტერიტორია. ისინი საქართველოს ტერიტორიაზე არ იმყოფებიან და, ამ თვალსაზრისით, ყველაფერი შესრულებულია,“** - ამბობს რუსეთის პრემიერი და აღნიშნავს, რომ ბოლო დროს **„რუსეთმა საქართველოდან პოზიტიური სიგნალები გაიგონა.“**

**„ჩვენ ძალიან გვიხარია, რომ საქართველოს სპორტსმენები ოლიმპიადაში მონაწილეობას მიიღებენ. მიმაჩნია, რომ დიპლომატიური ურთიერთობების არარსებობაც კი არ უნდა უშლიდეს ხელს ოლიმპიურ სულს, სპორტულ შეჯიბრებებს,“** - ამბობს რუსეთის პრემიერი და დასძენს, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობის აღიარებას სწორ გადაწყვეტილებად მიიჩნევს და რუსეთი აღნიშნული აღიარების გადახედვას ამ ეტაპზე არ აპირებს.

**„ეს გადაწყვეტილება მე მივიღე. მას მივიჩნევ ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებად კონკრეტულ სიტუაციაში. ამ გადაწყვეტილების გადახედვისთვის ამჟამად, რა თქმა უნდა, არანაირი გარემოებები არ არსებობს. ეს იქნებოდა ძალიან უხეში შეცდომა, რაც ამ ხალხებს არსებობისთვის უაღრესად რთულ პირობებს შეუქმნიდა, შესაძლოა - განადგურების პირობებსაც კი გარკვეულ სიტუაციებში. იმედი მაქვს, ეს პირობები აღარ გამეორდება, რადგან თქვენთანაც ყველაფერი იცვლება - ხელისუფლება იცვლება, ადამიანების მიდგომებიც იცვლება, მაგრამ მაინც.“**

გარდა ამისა, რუსეთის პრემიერ-მინისტრი ლტოლვილების თემასაც ეხება და აცხადებს, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნების საკითხი რუსეთის პრობლემა არ არის.

**„ეს, რა თქმა უნდა, რუსეთის პრობლემა არ არის. ეს საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის შიდა ურთიერთობის პრობლემაა. ეს ადამიანებს შორის ურთიერთობის პრობლემაა. ჩემთვის ძალიან სამწუხაროა ის, რომ არსებობენ ლტოლვილები. ეს ნამდვილად დიდი პრობლემაა თქვენი ქვეყნისთვის, იმ ხალხისთვის, ვინც სახლები დაკარგა. მაგრამ მიაქციეთ ყურადღება, რომ სანამ საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის ეს სამხედრო კონფლიქტი დაიწყებოდა, სხვა პრობლემაც არსებობდა - იყვნენ ადამიანები, რომლებიც ტოვებდნენ საკუთარ სახლებს, ამ შემთხვევაში უკვე ოსებს ვგულისხმობ. ანუ ამ პრობლემას, სამწუხაროდ, ღრმა ისტორიული ფესვები აქვს.“**

„რუსთავი 2“-თან ინტერვიუში დმიტრი მედვედევმა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების სურვილზეც ისაუბრა და შეგვახსენა, რომ **„რუსეთი ბირთვული ქვეყანაა“.**

**„ჩვენ, რბილად რომ ვთქვათ, არ მივესალმებით საქართველოს გაწევრიანებას ნატო-ში, მიუხედავად თქვენი ჩრდილოატლანტიკური მისწრაფებებისა. არა იმიტომ, რომ მიგვაჩნია, საქართველოს ამის უფლება არა აქვს - ნებისმიერ ქვეყანას აქვს უფლება, არჩევანი ამა თუ იმ სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის თუ გაერთიანების სასარგებლოდ გააკეთოს, მაგრამ ჩვენ გამოვდივართ არა თქვენი მიდგომებიდან, არამედ ჩვენი მიდგომებიდან. ეს ჩვენი ნაციონალური მიდგომაა, თქვენ თქვენი მიდგომა გაქვთ. თუ რუსეთის მახლობლად (და შეგახსენებთ, რომ რუსეთი ძალიან დიდი ქვეყანაა, უდიდესი ბირთვული არსენალით, ამის იგნორირება არ შეიძლება) გაჩნდება სახელმწიფო, რომელიც იქნება სხვა სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის წევრი, რომლის ბირთვული რაკეტები, როგორც ცნობილია, დამიზნებულია რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე არსებულ ობიექტებზე, ამას რუსეთი უყურადღებოდ ვერ დატოვებს. დიახ, ჩვენ ნატო-სთან ვთანამშრომლობთ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება,“** - განაცხადა მედვედევმა და განმარტა, რომ იმ შემთხვევაში, თუ საქართველო ნატოს წევრი გახდება, რუსეთსა და საქართველოს შორის ახალი დაძაბულობის წყარო წარმოიქმნება.

**„ეს საქართველოსთვისაც ცუდია. თქვენ ამით თითქმის არაფერი შეგემატებათ, რადგან თანამედროვე მსოფლიოში სამხედრო კონფლიქტები დაუშვებელია. სხვათა შორის, ეს მაგალითი აჩვენებს, რომ არ გამართლდა ზოგიერთი ქართველი პოლიტიკოსის გათვლა იმაზე, რომ მსგავს სიტუაციებში ნატო არ მისცემდა ჩარევის საშუალებას ან კიდევ რაღაც მოხდებოდა. ეს იმიტომ, რომ საფრთხის ქვეშ აღმოჩნდა სხვა, გაცილებით უფრო სერიოზული ფასეულობები. ასე რომ, ამ შემთხვევაშიც არაფერი შეემატება საქართველოს, როგორც სუვერენულ, კარგად განვითარებად ქვეყანას, ამავე დროს კი ჩვენს ქვეყნებს შორის მრავალწლიანი დაძაბულობის წყაროს შექმნის. ეს უკვე იქნება არა 2008 წლის კონფლიქტის გამო, რომელიც თქვენს ქვეყანასა და ამ პატარა ერებს შორის იყო, არამედ უკვე სხვა მიზეზით, თავდაცვის კუთხით, რადგან თქვენ გახდებით მსხვილი სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის წევრი, რომელიც წარმოადგენს სავარაუდო მოწინააღმდეგეს გარკვეული სიტუაციების შექმნის შემთხვევაში,“** - ამბობს მედვედევი.

კითხვას, შეიძლება თუ არა რუსეთმა საქართველოს ნატო-სკენ სწრაფვას ხელი შეუშალოს, პრემიერი პასუხობს, რომ ნატო-ში რუსეთს არ უსმენენ.

**„თუ საქართველო ნატო-სკენ მიისწრაფვის, მისთვის ხელის შეშლა მხოლოდ ნატო-ს შეუძლია. რუსეთი არ არის ნატო-ს წევრი, ჩვენ იქ ხმა არ გაგვაჩნია, ჩვენ იქ არ გვისმენენ, ჩვენ იქ არ გვეპატიჟებიან. ჩვენ პერიოდულად ვხვდებით ერთმანეთს. მე ნატო-რუსეთის სესიაში ვმონაწილეობდი. შეიძლება, კარგი საუბარი გაიმართოს. თუმცა, ჩვენ ახლა ნატო-სთან ჩვენი პრობლემები გვაქვს, მაგალითად, ევროპული რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვის სისტემა, მაგრამ მათ გადაწყვეტილებებზე გავლენას ვერ ვახდენთ. ამიტომ, ეს იქნება თავად ჩრდილოატლანტიკური ალიანსის კომპეტენციაში. თუმცა, ჩემი აზრით, საქართველოს მოქალაქეებმაც და თქვენმა ხელმძღვანელობამაც უნდა იფიქრონ იმაზე, ზოგადად რამდენად სასარგებლო იქნებოდა ევროპისთვის ნატო-ში საქართველოს გაწევრიანება,“** - ამბობს რუსეთის პრემიერ-მინისტრი და აღნიშნავს, რომ საქართველოსთვის ნატო-ს ღია კარის შესახებ განცხადებებმა 2008 წელს „ფატალური როლი“ შეასრულა.

**„ამგვარმა განცხადებებმა ფატალური როლი შეასრულა ზოგიერთი სუმბურული გადაწყვეტილების მიღებაში, რომლებიც დანაშაულებრივ ავანტიურაში გადაიზარდა. ასეთი განცხადებები რომ არ გაკეთებულიყო, შესაძლოა, ბატონ სააკაშვილსაც ჰყოფნოდა გონიერება და 2008 წელს ტანკებითა და სარაკეტო დანადგარებით კი არ წასულიყო ცხინვალის მიმართულებით, არამედ მოსკოვში ჩამოსულიყო მოლაპარაკებაზე, რაზეც ჩვენ მანამდე შევთანხმდით.“**

ამასთან დმიტრი მედვედევი ბალტიისპირეთის ქვეყნებზეც საუბრობს და აღნიშნავს, რომ რუსეთს არც ამ ქვეყნების ნატო-ში ყოფნა მოსწონს.

**„თქვენი აზრით, ჩვენ მოგვწონს, რომ ბალტიისპირეთის ქვეყნები ნატოს წევრები არიან? ჩვენ ასევე არ მოგვწონს, რომ ისინი სტაბილური მეზობლები არიან. მსურს, ჩვენც გვქონდეს სტაბილური, კეთილი ურთიერთობები, ნორმალური მეზობლები ვიყოთ, მით უმეტეს, რომ ჩვენს ხალხებს შორის მრავალსაუკუნოვანი და ძალიან მეგობრული ისტორიაა. მაგრამ ამ შემთხვევაში ხომ საკითხი არა ადამიანებს შორის ურთიერთობას, არამედ სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებს ეხება, ეს ურთიერთობები კი ამჟამად სხვა პრინციპებზეა აგებული. თუ საქართველო ან ნებისმიერი სხვა ქვეყანა - არა აქვს მნიშვნელობა, უკრაინა ან სხვა რომელიმე - სხვა სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის წევრი გახდება, ჩვენ ამ ფაქტის იგნორირება არ შეგვიძლია,“** - ამბობს რუსეთის პრემიერ-მინისტრი.

დმიტრი მედვედევის ინტერვიუს, რომელიც ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ ეთერში გავიდა, ქართველი პოლიტიკოსების, ექსპერტებისა თუ საზოგადოების სხვა წარმომადგენლების მხრიდან სხვადასხვაგვარი გამოხმაურება მოჰყვა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში ზურაბ აბაშიძე მიიჩნევს, რომ «რუსეთის ტონი შეცვლილია პოზიტიურისკენ».

**„ჩემი აზრით, მედვედევის განცხადებები მიუთითებს იმაზე, რომ საქართველო-რუსეთის დიალოგის დაწყებას მოსკოვი, საერთო ჯამში, პოზიტიურად აფასებს და ისიც ხედავს ამ დიალოგისგან პერსპექტივასა და სარგებელს. რუსეთის ტონი შეცვლილია პოზიტიურისკენ,“** - აღნიშნავს აბაშიძე.

მედვედევის ინტერვიუდან მხოლოდ პოზიტიური მესიჯების ამოღებას გვირჩევს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის დროებითი საპარლამენტო კომისიის თავმჯდომარე გიორგი ვოლსკი.

**„ჩვენ ჩვენი სტრატეგიული ინტერესები გვაქვს, ამიტომ მედვედევის განცხადებებში სენტიმენტალურ გრძნობებს არ უნდა ავყვეთ,“** - ამბობს გიორგი ვოლსკი და განმარტავს, რომ რაც არ უნდა სენტიმენტალურად მოგვეჩვენოს, მედვედევი თავისი ქვეყნის სტრატეგიული ინტერესებიდან გამომდინარე ლაპარაკობს.

**„ამიტომ სენტიმენტალურ გრძნობებს არ უნდა ავყვეთ, უნდა გვქონდეს სწორი პოზიცია - მედვედევის განცხადებებიდან ამოვიღოთ მხოლოდ პოზიტიური, ის კი, სადაც ვხედავთ, რომ გარკვეული მახეა ჩადებული, თუნდაც იმ მხრივ, რომ ჩვენმა ოპონენტებმა მათზე სპეკულირება მოახდინონ, გვერდზე უნდა გადავდოთ და სახელმწიფოებრივად მივუდგეთ,“** - აღნიშნავს გიორგი ვოლსკი.

მედვედევის განცხადებას იმის შესახებ, რომ საოკუპაციო ხაზის გადმოწევის საკითხი საქართველომ სამხრეთ-ოსეთის ე.წ. ხელისუფლებასთან უნდა მოაგვაროს, რადგან ამ ფაქტთან რუსეთს არანაირი კავშირი არ აქვს, საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერი თინა ხიდაშელი ეხმაურება. ხიდაშელი აცხადებს, რომ საოკუპაციო ხაზთან სწორედ რუსეთის ჯარი დგას.

**რაც შეეხება მოლაპარაკებების პროცესს, მე დავეთანხმები, რომ უნდა ვილაპარაკოთ აფხაზებთან და ოსებთან, მაგრამ ამას არაფერი აქვს საერთო საოკუპაციო ხაზის საკითხთან, რადგან იქ რუსული ჯარი დგას, რუსეთის მოქალაქეებით დაკომპლექტებული სამხედრო ნაწილები, რომლებიც რუსეთის სახელმწიფოს ექვემდებარება და ბუნებრივია, რომ მოლაპარაკებები სწორედ მათთან უნდა მიმდინარეობდეს და სწორედ მათი პასუხისმგებლობის საგანია ყველა ის პრობლემა, რომლებიც ამ საკითხზე ჩვენს ქვეყანას ექმნება. კონფლიქტის მთავარი მხარე რუსეთია და ყველა ეს პრობლემა სწორედ მასთან არის მოსაგვარებელი,** - აცხადებს ხიდაშელი.

თინა ხიდაშელი ასევე ეხმაურება მედვედევის განცხადებას საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების შესახებ. დეპუტატი ამბობს, რომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანება მხოლოდ საქართველოს გადასაწყვეტია და იმედს გამოთქვამს, რომ მომავალი წლის გაზაფხულის სამიტი ჩვენთვის პოზიტიური იქნება.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ მანანა კობახიძის განცხადებით, პრემიერ-მინისტრი ბიძინა ივანიშვილი პრაგმატულიც არის და ჭკვიანიც და თუ მედვედევი ამას აღიარებს, აქ არაფერია გასაკვირი.

**„ბიძინა ივანიშვილი არის პრაგმატულიც, ნიჭიერიც და ჭკვიანიც და ის თავის მისიას, ფუნქციას და პასუხისმგებლობას შეასრულებს, რაც აიღო ჩვენი საზოგადოების წინაშე. ამას თუ მედვედევი ამჩნევს და აღიარებს, ამაში გასაკვირი არაფერია,“** - ამბობს კობახიძე.

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საპრეზიდენტო კანდიდატ დავით ბაქრაძის განცხადებით, გუშინდელმა ინტერვიუმ კიდევ ერთხელ გამოაჩინა, ვინ არის რუსეთი, რა ინტერესი აქვს და როგორ ხედავს საქართველოს მომავალს.

**„ჩემთვის ძალიან მძიმე და შეურაცხმყოფელი იყო ის, რაც გუშინ მოვისმინეთ, რადგან გუშინ ეკრანიდან გვესაუბრებოდა ადამიანი, რომელმაც განაცხადა, რომ ყველაფერი ის, რაც გაკეთდა 2008 წელს, იყო სწორი და ის დღესაც იმავეს გააკეთებდა ანუ დღესაც გასცემდა ბრძანებას, რომ დაებომბათ ქართული ქალაქები, გადაეწვათ ქართული სოფლები, დაეხოცათ ჩვენი ბიჭები. ეს ადამიანი ამას დღესაც ურცხვად იმეორებს. არ ვიცი, რა შთაბეჭდლება დარჩა ჩვენი საზოგადოების დიდ ნაწილს, მაგრამ ჩემი შთაბეჭდილება იყო ძალიან მძიმე და დამთრგუნველი. ერთადერთი პოზიტივი, რომელიც ჩემთვის ამ ინტერვიუს ჰქონდა, გახლდათ ის, რომ კიდევ ერთხელ დადასტურდა, ვისთან გვაქვს საქმე. დიახ, უნდა ველაპარაკოთ კიდეც, გავიტანოთ ღვინო, გავყიდოთ ვაშლი, თუ ვინმეს ეს უხარია - ვიცეკვოთ კიდეც, მაგრამ ნუ მოვიტყუებთ თავს იმ ილუზიით, რომელიც ამ ბოლო დროს ყალიბდება, რომ რუსეთი მეგობარია, რომელიც, უბრალოდ, ცუდ სიტუაციაში აღმოჩნდა. ვფიქრობ, გუშინდელმა ინტერვიუმ ძალიან კარგად გამოაჩინა კიდევ ერთხელ, ვინ არის რუსეთი, რა ინტერესი აქვს მას საქართველოში და როგორ ხედავს საქართველოს მომავალს,“** - განაცხადა დავით ბაქრაძემ.

საპარლამენტო უმცირესობის ერთ-ერთი ლიდერი გოკა გაბაშვილი ამბობს, რომ „რუსთავი 2“-თან ინტერვიუში რუსეთის პრემიერ-მინისტრის „საქართველოსადმი ურცხვი და ცინიკური დამოკიდებულება“ დაინახა.

**„საერთაშორისო თვალსაზრისით, მათ მიერ მიტაცებული და დაპყრობილი ტერიტორიები ისევ საქართველოა და ეს ვითარება არ შეიცვლება, თუ საქართველომ საბედისწერო და მცდარი გადაწყვეტილებები არ მიიღო. სწორედ ეს არის რუსეთის მიზანი და ამაზე მედვედევმა გასაგებად ისაუბრა. მან თქვა, რომ ურთიერთობების აღდგენა შესაძლებელია მაშინ, როცა საქართველო ახალ რეალობას შეეგუება, რაც იმას ნიშნავს, რომ რუსეთს საქართველოში სამი საელჩო ექნება და არა ერთი. მედვედევმა აქცენტი გააკეთა იმაზეც, რომ რუსეთი ყოველთვის შეეწინააღმდეგება საქართველოს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას. გუშინ კიდევ ერთხელ ვნახეთ ურცხვი და ცინიკური დამოკიდებულება საქართველოს მიმართ. ის ისევ ურცხვად ცდილობდა, ჩვენს ქვეყანაში შემოჭრა, ეთნიკური წმენდა გაემართლებინა და ეს ეთნიკურ კონფლიქტად წარმოეჩინა,“** - განაცხადა გოკა გაბაშვილმა პარლამენტის გუშინდელ რიგგარეშე სხდომაზე.

არასამთავრობო ორგანიზაცია „საქართველოს რეფორმების ასოციაციის“ დამფუძნებლის, საგარეო საქმეთა მინისტრის ყოფილი მაოდგილის სერგი კაპანაძის განცხადებით, **„დმიტრი მედვედევმა 2008 წლის საომარი მოქმედებების და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ ჩვეული სტილით გააკეთა განცხადებები და მათში ახალი არაფერი ყოფილა“.**

კაპანაძე მიიჩნევს, რომ მედვედევის მიერ გაჟღერებულმა მესიჯებმა საზოგადოებას თვალები უნდა აუხილოს.

**„რუსეთის ინტერესები რაც იყო, ის არის. არაფერი იცვლება. საქართველოს მიმართ მათი დამოკიდებულება მათივე უცნაური იმპერიალისტური ზრახვებიდან გამომდინარეობს. მედვედევმა ძალიან ნათლად გაიმეორა ის, რომ ეს იყო ომი, რომელიც რეალურად რუსეთის ინტერესებიდან გამომდინარეობდა. ის, რომ დევნილების დაბრუნება, თურმე, არ ეხება რუსეთის ფედერაციას, მათ შორის ის, რომ ჯარების გაყვანა აღარ არის მისი ვალდებულება, რადგან საქართველოს საზღვრები შეიცვალა, ცინიკური პოზიციაა, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სამართალთან. აქედან გამომდინარე, ეს უფრო, ალბათ, თვალების ამხელი ინტერვიუ უნდა ყოფილიყო,“** - განაცხადა სერგი კაპანაძემ.

„რუსთავი 2»-სთვის მიცემულ ინტერვიუს ეხმაურება თავად დმიტრი მედვედევიც. **„სიამოვნებით ვუპასუხე ქართული ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის შეკითხვებს. მიმაჩნია, რომ ეს ინტერვიუ მნიშვნელოვანი იყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებისთვის,“** - ეს შეფასება რუსეთის პრემიერ-მინისტრმა „ტვიტერზე“ დაწერა.

# შორია ლიგამდე

პირველი გვერდიდან




ფეარ ფლეის ენაზე რომ ვთქვათ, ჩემპიონთა ლიგაზე 30 ივლისს «დინამო არენაზე» ნანახის შემდეგ „დინამოს“ „სტიაუამდე“ გრძელი გზა აქვს გასავლელი. აქედან გამომდინარე, არასწორიც იქნებოდა შემდგომ ეტაპზე ყველაზე ტიტულოვანი ქართული კლუბის გასვლა, რადგან, ახლანდელისგან განსხვავებით, ფლეი ოფში (აღარაფერს ვამბობ ჯგუფურ ეტაპზე) ჩვენსა და ლიგის ბინადართა შორის განსხვავება მეტისმეტად დიდი იქნებოდა. ასე რომ, რაც მოხდა ორი შეხვედრის ჯამში, სავსებით ლოგიკური და მისაღებია.

„დინამოს“ თავგადაკლულ გულშემატკივარსაც კი, ალბათ, გულის სიღრმეში არ სჯეროდა, რომ რუმინელთა 55 600-ათასიან არენა „ნაციონალზე“, რომელიც ბოლომდე გაავსეს «სტიაუას» ქომაგებმა, თბილისელები სასწაულს მოახდენდნენ. კარგია ჩემპიონთა ლიგა, კარგია კლუბისთვის იქ თამაში, მაგრამ იქამდე შორია, რადგან უამრავი სათამაშო კომპონენტის დახვეწაა საჭირო. ერთადერთი, რაზეც აუგი არ დაგვცდება, ეს მონდომებაა. სხვა მხრივ კი ბევრი გვაქვს სასწავლი. ერთადერთი გამოსავალი შემადგენლობის მეტად გაძლიერება, სათადარიგოთა სკამის ოსტატი ფეხბურთელებით გაგრძელებაა.

ორი მატჩის ჯამში «დინამომ» 1:3 წააგო, ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპს გამოეთიშა და ახლა ევროპის ლიგის ფლეი ოფის იმედადაა, სადაც ჩვენი მეტოქის ვინაობა 9 აგვისტოს, კენჭისყრისას გახდება ცნობილი. ვიყოთ იმის იმედად, რომ დინამოელთა მწვრთნელი დუშან უჰრინი «სტიაუასთან» მიღებული გამოცდილებით ოქროს შუალედს იპოვის და ევროპის ლიგის ფლეი ოფს შესაბამისი დონით შეხვდება. მანამდე კი გავეცნოთ მის კომენტარს, რომელიც «სტიაუასთან» მატჩის შემდეგ «დინამოს» ოფიციალურმა ვებგვერდმა გაავრცელა:

«პირველ ყოვლისა, „სტიაუას“ ვულოცავ შემდეგ ეტაპზე გასვლას. ორივე გუნდი მთელი მატჩის განმავლობაში იბრძოდა. ვფიქრობ, მაყურებლმა საინტერესო თამაში ნახა. ჩემმა გუნდმა პასიურად დაიწყო და გოლი გავუშვით. თუმცა, მეორე ტაიმის პირველი 20 წუთი კარგად ვითამაშეთ, გოლი გავიტანეთ და ანგარიშში წონასწორობა აღვადგინეთ. მეტოქის კარის აღება კიდევ რამდენჯერმე შეგვეძლო. მეორე გოლი რომ გაგვეტანა, მატჩი უფრო საინტერესოდ წარიმართებოდა. მართალია, ჩემპიონთა ლიგაში გამოსვლა დავასრულეთ, მაგრამ წინ ევროპის ლიგის ფლეი ოფი გველის. მანამდე საქართველოს ჩემპიონატის პირველ ტურში „ზესტაფონის“ წინააღმდეგ უნდა ვითამაშოთ“.

# მანუჩარ მარკოიშვილი: „ტრავმების მიუხედავად, საქართველოს მიზნები ევრობასკეტზე არ შეცვლილა“

ეროვნული ნაკრების ერთ-ერთ ლიდერს, მანუჩარ მარკოიშვილს, საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პრესსამსახურის დახმარებით, პოპულარულმა ესპანურმა საკალათბურთო გამოცემა BasketMe-მ ინტერვიუ ჩამოართვა. გთავაზობთ ამ ინტერვიუს ქართულ თარგმანს.



**- საქართველო 2011 წლის ევროპის ჩემპიონატის სასიამოვნო სიურპრიზი იყო, რომლიც მეორე ეტაპზე გავიდა და ბოლომდე ებრძოლა საბოლოოდ ნახევარფინალში გასულ რუსეთს და მაკედონიას. რა მოგონებები დაგრჩათ გასული ჩემპიონატიდან?**

- ლიტვაში გამართული ევროპის ჩემპიონატი იყო პირველი, რომელშიც საქართველოს ნაკრებმა თავისი არსებობის მანძილზე ითამაშა და ჩვენ ეს გვეამაყება. საქართველოს ნაკრების წევრებმა დიდი გამოცდილება მივიღეთ ისეთ ძლიერ გუნდებთან თამაშით, როგორებიც არიან რუსეთი, სლოვენია, საბერძნეთი, მაკედონია...

**- ტრავმის გამო ზაზა ფაჩულია და თორნიკე შენგელია გამოგაკლდათ. მათი არყოფნა უთუოდ იმოქმედებს საქართველოს ნაკრების შედეგზე და რა მიზნები გაქვთ ყველაფერ ამის გათვალისწინებით?**

- დიახ, ჩვენ გვაკლია ფაჩულია და შენგელია. ისინი ნაკრებისთვის დიდ ძალაა და ასე მოკლე პერიოდში მათი შეცვლა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ჩვენი მიზანი არ შეცვლილა და კიდევ უფრო მეტი შემართებით ვიბრძოლებთ ყოველი მეოთხედისთვის.

**- ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირში საქართველოს ნაკრებში თამაშობდა ამერიკელი ჯეიკობ პულენი, რომელმაც ევრობასკეტის საგზურის მოპოვებაში დიდი როლი შეასრულა. ამჯერად თქვენს ნაკრებში რიკი ჰიკმანი და ლუკ ზელერი არიან. რამდენად დაეხმარებიან ისინი გუნდს?**

- ჩვენ არაერთი ძლიერი ლეგიონერი გვყოლია. მათგან ბევრი რამ ვისწავლეთ და ისინიც სწავლობდნენ ჩვენგან. ახლაც ასე იქნება. საქართველოს ნაკრებს გამოცდილი მოთამაშეები ჰყავს, რომლებიც ახალგაზრდებს ეხმარებიან. ჩემი აზრით, ნაკრებს მომავალში არ დასჭირდება არაქართველი კალათბურთელების დამატება.

**- როგორ იყენებს იგორ კოკოშკოვი NBA-ში მიღებულ გამოცდილებას საქართველოს ნაკრებში?**

- კოკოშკოვი ძალიან გონიერი მწვრთნელია. ნაკრების ყველა წევრის დადებით მხარეს მაქსიმალურად იყენებს. თამაში კარგად მიჰყავს და უკიდურესად დაძაბულ მომენტებშიც კი არ კარგავს წონასწორობას.

**- ახალგაზრდული ასაკის მიუხედავად, სოლიდური კარიერა გიმაგრებთ ზურგს. იცავდით ისეთი ევროპული გუნდების ღირსებას, როგორებიც არიან „ბენეტონი“, „ოლიმპია“, „ბკ კიევი“, „კანტუ“ და „გალათასარაი“. ყველაზე კარგად რომელი დრო გახსენდებათ და თუ გქონდათ ესპანურ კლუბში გადასვლის შანსი?**

- ყველა კლუბის ცხოვრებიდან, სადაც კი მითამაშია, არაერთი წარმატება მახსენდება. თითოეული მწვრთნელისა თუ თანაგუნდელისგან ბევრი რამ ვისწავლე. ჩემი კარიერის კვანძი გაიხსნა

„კანტუში“. იქ ბევრი სათამაშო დრო მქონდა ისეთი მაღალი დონის ტურნირებში, როგორიცაა ევროლიგა და იტალიის ჩემპიონატი. ესპანურ კლუბში გადასვლის რეალური შანსი არ მქონია, თუმცა, ვფიქრობ, ამის შესაძლებლობაც მომეცემა.

**- თქვენი ნაკრების შემადგენლობაში აღმოვაჩინეთ ბექა ბურჯანაძე, რომელიც ესპანეთის უმაღლესი ლიგის გუნდ „კახასოლში“ თამაშობს. ის საქართველოს ნაკრების ყველაზე ახალგაზრდა წევრია. ბურჯანაძის, ნიკა მეტრეველის, დუდა სანაძის, ოთარ ფხაკაძის შემხედვარეს, როგორ გესახებათ საქართველოს ნაკრების მომავალი?**

- ჩვენ ძალიან კარგი ახალგაზრდები გვყავს. მათი მთავარი ღირსება შრომისმოყვარეობა და მიზანდასახულობაა. ამიტომ ვფიქრობ, საქართველოს ნაკრები იმაზე წარმატებული იქნება მომავალში, ვიდრე დღესაა.

**- გთხოვთ დაასახელოთ მომავალი ევრობასკეტის სამი ფავორიტი.**

- ესპანეთი, საფრანგეთი და ალბათ რუსეთი.

**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130017268**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | საგანგებო და გადაუდებელი სიტუაციების მართვის სააგენტო |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 07.08.2013 17:23 |
| წინადადებების მიღება იწყება | 09.08.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 13.08.2013 15:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 2800 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 39500000-ქსოვილის ნივთები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 39500000-ქსოვილის ნივთები, 39515410-ინტერიერის შტორები, 39515430-ჟალუზები, 39515440-ვერტიკალური ჟალუზები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | სულ 93 მ2/მ-მდე |
| მოწოდების ვადა | შემსყიდველის მოთხოვნით 2013 წლის სექტემბრის თვეში |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 20 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 28 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130017267**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | შპს ფსიქიკური ჯანმრთელობის და ნარკომანიის პრევენციის ცენტრი |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 07.08.2013 17:20 |
| წინადადებების მიღება იწყება | 09.08.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 13.08.2013 13:30 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 900 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 45400000-შენობის დასრულების სამუშაოები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 45400000-შენობის დასრულების სამუშაოები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | სატენდერო დოკუმენტაციის შესაბამისად |
| მოწოდების ვადა | 30.09.2013 |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 10 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 9 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130017204**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | ბათუმის კორპუსი |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 06.08.2013 20:20 |
| წინადადებების მიღება იწყება | 09.08.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 13.08.2013 12:30 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 3390 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 44100000-სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 44100000-სამშენებლო მასალები და დამხმარე სამშენებლო მასალები , 44112500-გადახურვის მასალები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | იხ. სატენდერო დოკუმენტაცია |
| მოწოდების ვადა | ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღე |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 68 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 34 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge

**განცხადება გამარტივებული ელექტრონული ტენდერის ჩატარების შესახებ № SPA130017269**

| | |
|---|---|
| შემსყიდველი | სსიპ სასწავლო უნივერსიტეტი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია |
| ტენდერის გამოცხადების თარიღი | 07.08.2013 17:24 |
| წინადადებების მიღება იწყება | 09.08.2013 00:00 |
| წინადადებების მიღება მთავრდება | 13.08.2013 12:00 |
| შესყიდვის სავარაუდო ღირებულება | 2350 ლარი |
| სატენდერო განცხადება წარმოდგენილი უნდა იყოს | დღგ-ს გათვალისწინებით |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და კლასიფიკატორის დანაყოფი | 44800000-საღებავები, ლაქები და მასტიკები |
| კლასიფიკატორის (CPV) კოდი და შესყიდვის კონკრეტული ობიექტი | 44812210-ზეთის საღებავები, 44812220-წყლის საღებავები, 44812310-ფერადი საღებავების ნაკრებები, 44831000-მასტიკები, შემავსებლები, საპოხები |
| შესყიდვის რაოდენობა ან მოცულობა | მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში. |
| მოწოდების ვადა | ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში. |
| შეთავაზების ფასის კლების ბიჯი | 47 ლარი |
| გარანტიის ოდენობა | 24 ლარი |

დეტალური ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: www.procurement.gov.ge


PHOTOGRAPHED BY FRED MEYLAN
ELITE MODEL LOOK CASTING 2013
N°1 MODEL SEARCH WWW.ELITEMODELLOOK.COM/GE
21 JULY KUTAISI Opera House 14:00 - 17:00
23 JULY GORI Gamarjveba Movie Theatre 14:00 - 16:00
26 JULY GURJAANI Cultural Centre 14:00 - 16:00
29 JULY ZUGDIDI Art Gallery 14:00 - 17:00
17 AUGUST BATUMI Hotel Intourist 14:00 - 17:00
18 AUGUST OZURGETI Theatre Hall 14:00 - 16:00
07 SEPTEMBER TBILISI Tbilisi Mall 14:00 - 18:00
2013 elite MODEL LOOK GEORGIA
IC MODEL MANAGEMENT
MUSIC BOX
kikala studio
MAX PROM
OutdooR.ge
MSG MARKETING
ADSSPRINT
McCANN TBILISI
Curves
MYVIDEO.GE
LUXURY
EGO
GHN
ANGEL
24 საათი
allMovies.ge
Pink